კვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ვერსიით“

ვერსია

№39 (1680) 18 — 24 ოქტომბერი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

მთავრობის სტრატეგია ადრეულ, სკოლამდელ და ზოგად განათლებაში

ირაკლი ღარიბაშვილის ყოველწლიური ანგარიშის მნიშვნელოვანი დეტალები

საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა პრეზიდენტზე — სრული ტექსტი

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ლელა ქებურია: „ეს ნეგატივი გიგას მოჰყვება“

რა საარჩევნო გეგმები აქვს ევროპულ საქართველოს

როგორ მოქმედებს „ჰამასი“ ფსიქოლოგიურად ისრაელზე

ვახტანგ მაისაია: „პირველად მიჭირს პროგნოზის გაკეთება“

შიდა ქართლის პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1956 წელს დაბადებული ი.ა. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, ნაჯახის გამოყენებით, სასიკვდილო დაზიანება მიაყენა შვილს – 1984 წელს დაბადებულ კ.ა.-ს.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

კახეთის პოლიციამ, დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით, ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, 14 წლის გოგონას მკვლელობაში ბრალდებული ა.ს.-ს ბიძა – 1972 წელს დაბადებული ა.ა. და ბიძაშვილი – 1997 წელს დაბადებული ბ.ა. დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მკვლელობაში ბრალდებულმა, ცოლად შერთვის მიზნით, 2009 წელს დაბადებულ ა.შ.-ს თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ბიძის – ა.ა.-ს სახლში მიიყვანა, რომლისთვისაც ცნობილი გახდა აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების შესახებ. საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით, ასევე დადგინდა, რომ ამავე დანაშაულის შესახებ ცნობილი იყო ა.ა.-ს შვილის – ბ.ა.-სთვის, თუმცა მათ პოლიციას მომხდარი დანაშაულის შესახებ არ შეატყობინეს.

სამართალდამცველების მიერ ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შედეგად, ა.ა. და ბ.ა. ბრალდებულების სახით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელთან სამუშაო შეხვედრა გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ სამუშაო შეხვედრა გამართა საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მისიის ხელმძღვანელთან, კაორი იშიკავასთან.

მხარეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციას შორის არსებული თანამშრომლობა და მიღწეული შედეგები განიხილეს. ალექსანდრე დარახველიძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა გაეროს ქალთა ორგანიზაციის ჩართულობით, სამინისტროში განხორციელებულ რეფორმებზე, ასევე, ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების პროცედურებში შეტანილ ცვლილებებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

შეხვედრის დასასრულს, ალექსანდრე დარახველიძემ გაეროს ქალთა ორგანიზაციას მადლობა გადაუხადა სამინისტროს მხარდაჭერისა და მის ინსტიტუციურ განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია, უკვე მრავალი წელია, თანამშრომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და საკუთარი წვლილი შეაქვს უწყების შესაძლებლობების განვითარებაში, სხვადასხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები სუფსის ტერმინალის უსაფრთხოების სწავლებაში მონაწილეობდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტმა – „ბპ საქართველომ“ და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ“ ერთობლივი სწავლება ჩაატარეს ბაქო-სუფსის მილსადენის სუფსის ნავთობის ტერმინალის პერიმეტრზე. სწავლება მიზნად ისახავდა მხარეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას, ობიექტზე არსებული პროცედურებისა და ინსტრუქციების პრაქტიკაში აქტიურად გამოყენებას, თანამშრომლების უნარ-ჩვევების ამაღლებასა და პროფესიონალიზმის გაზრდას.

პრაქტიკული სწავლების სცენარის მიხედვით, სუფსის ტერმინალის გარკვეულ მონაკვეთზე გაითიშა ვიდეო-მონიტორინგის სათვალთვალო კამერები, ხოლო სხვა კამერების მიერ დაფიქსირდა ადამიანის სილუეტი. შესაბამისი ინფორმაცია გადაეცა სტრატეგიული მილსადე-



ნების დაცვის დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს რეგიონალურ განყოფილებას. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის საბრძოლო დანაყოფმა იმოქმედა „ბპ საქართველოს“ შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, კოორდინირებულად. პრაქტიკული სიმულაციის მიზანს თანამშრომლებისთვის სწრაფი და ორგანიზებული რეაგირების სწავლება წარმოადგენდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი და „ბპ საქართველო“, მრავალი წელია, ნაყოფიერად თანამშრომლობენ, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პრაქტიკული უნარ-ჩვევების აქტიურ დანერგვას, კოორდინაციისა და ეფექტური კომუნიკაციის ზრდას.

საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა პრეზიდენტზე – სრული ტექსტი

ნინო დოლიძე

„კონსტიტუციის ერთი ნორმით დაწესებული განაწესის დარღვევა ვერ გამართლდებოდა მეორე ნორმის დაცვის საბაბით", – ამის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნაშია საუბარი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის მიერ კონსტიტუციის დარღვევას ეხება. დასკვნას, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, „ვერსია" სრულად გთავაზობთ:

„2023 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე (№1797 კონსტიტუციური წარდგინება), გამოაქვეყნა დასკვნა და დაადგინა საქართველოს პრეზიდენტის, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი, რაც გამოიხატა საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, საზღვარგარეთ სამუშაო ვიზიტების განხორციელებით და ოფიციალურ პირებთან სამუშაო შეხვედრებისა და მოლაპარაკებების გამართვით.

კონსტიტუციური წარდგინების ავტორების არგუმენტაციით, საქართველოში მოქმედი კონსტიტუციური სისტემისა და მმართველობის საპარლამენტო მოდელის პირობებში, საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე ექსკლუზიურად უფლებამოსილ ერთადერთ კონსტიტუციურ ორგანოს საქართველოს მთავრობა წარმოადგენს. მათი პოზიციით, კონსტიტუციური კანონმდებლის ასეთი მიდგომა ასახულია სახელისუფლებო განშტოებებს შორის კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილებათა გამიჯვნითა და დანაწილებით, ისევე როგორც რიგი კონსტიტუციურსამართლებრივი ნორმებით, მათ შორის, უწინარესად, საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის დანაწესით, რომლის თანახმადაც საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში, აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. კონსტიტუციური წარდგინების ავტორები აპელირებდნენ იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტმა კონსტიტუციითვე დადგენილი საქართველოს მთავრობის სავალდებულო თანხმობის არარსებობის მიუხედავად, საზღვარგარეთ განახორციელა სამი სამუშაო ვიზიტი. წარდგინების ავტორთა მითითებით, საქართველოს პრეზიდენტმა ზემოხსენებული ვიზიტებით, ერთი მხრივ, განახორციელა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება საგარეო ურთიერთობათა სფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, აწარმოა მოლაპარაკებები უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტებთან, რაც წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციის დარღვევას და, კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად, ქმნიდა იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საფუძველს.

საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც მოწვეული იყო კონსტიტუციური წარდგინების არსებითი განხილვის სხდომაზე, არ გამოცხადდა. შესაბამისად, კონსტიტუციური წარდგინების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს და საქართველოს პრეზიდენტის პოზიცია სასამართლოს წარუდგინეს მისმა წარმომადგენლებმა. მათი აზრით, პრეზიდენტი მოქმედებდა კონსტიტუციის 49-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც მართალია, საზოგადოდ პრეზიდენტის სტატუსს შეეხება, მაგრამ მისი მესამე პუნქტი პრეზიდენტის უფლებამოსილებებს განსაზღვრავს. შესაბამისად, მიიჩნიეს, რომ კონსტიტუციის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტი გულისხმობს და პრინციპულად უშვებს პრეზიდენტის მხრიდან საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას მთავრობის თანხმობის გარეშეც. საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელთა განმარტებით, პრეზიდენტს მხოლოდ მაშინ ესაჭიროებოდა მთავრობის თანხმობა, როდესაც მისი აქტივობა საგარეო ურთიერთობათა სფეროში გასცდებოდა მთავრობის ოფიციალურ კურსს და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. მათივე მტკიცებით, პრეზიდენტი მოქმდებდა კონსტიტუციის 78-ე მუხლის შესაბამისად, რაც ასევე გამორიცხავდა მისი მხრიდან კონსტიტუციის დარღვევის ფაქტს. შესაბამისად, კონსტიტუციური წარდგინების ავტორთა მხრიდან, პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ფაქტის მტკიცება უსაფუძვლო იყო და პრეზიდენტი განხორციელებული სამუშაო ვიზიტების დროს ხელმძღვანელობდა საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და 78-ე მუხლით, ხოლო 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის დარღვევაზე მითითება არარელევანტური იყო.

საკონსტიტუციო სასამართლომ, უწინარეს ყოვლისა, განხილვის საგნის სპეციფიკურობისა და მისი სრულყოფილი კონსტიტუციურსამართლებრივი შეფასების მიზნებისთვის, პირველ რიგში, გამოიკვლია და დაადგინა ფაქტები, ხოლო შემდეგ სამართლებრივად შეაფასა ისინი კონსტიტუციის ყველა რელევანტურ ნორმასთან მიმართებით. სასამართლომ ფაქტების დადგენის ნაწილში გამოიყენა „ცხადი და დამაჯერებელი მტკიცებულების" სტანდარტი.

მტკიცების ამ სტანდარტის გამოყენებით, საკონსტიტუციო სასამართლომ, დადასტურებულად მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს პრეზიდენტის რანგში, მთავრობის თანხმობის გარეშე, განახორციელა სამუშაო შეხვედრები საზღვარგარეთ საგარეო პოლიტიკურ საკითხზე.

რაც შეხება ხსენებული ფაქტების სამართლებრივ შეფასებას, საკონსტიტუციო სასამართლომ გააანალიზა საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი და მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში. კონსტიტუციის სტრუქტურის, კონსტიტუციური ორგანოების უფლებამოსილებებისა და რელევანტური კონსტიტუციური ნორმების სისტემური განმარტებისა და ურთიერთკავშირის საფუძველზე, სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტი მმართველობის საპარლამენტო მოდელის გათვალისწინებით, წარმოადგენს პოლიტიკურად ნეიტრალურ ფიგურას, რომელიც არ ფლობს პოლიტიკურ ძალაუფლებას. ამასთანავე, განმარტა რა საქართველოს კონსტიტუციის 49-ე (პრეზიდენტის სტატუსი) და 52-ე (პრეზიდენტის უფლებამოსილებანი) მუხლები, სასამართლომ მიუთითა, რომ პრეზიდენტის სტატუსის შესაბამისი უფლებამოსილებანი საგარეო ურთიერთობებში გათვალისწინებულია მხოლოდ კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტში, ხოლო 49-ე მუხლით გათვალისწინებული პრეზიდენტის სტატუსის თითოეული ასპექტი, ისევე როგორც კონსტიტუციის 78-ე მუხლი, დამოუკიდებლად, პრეზიდენტის რაიმე უფლე-

დასასრული მე-15 გვერდზე

ლელა ქებურია: „ეს ნეგატივი გიგას მოჰყვება“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რა საარჩევნო გეგმები აქვს ევროპულ საქართველოს

„ვერსია“ აგრძელებს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო გეგმების შესახებ დეტალების გარკვევას. ამჯერად, გთავაზობთ ინტერვიუს ევროპული საქართველოს წარმომადგენელ ლელა ქებურიასთან.

– ქალბატონო ლელა, თქვენი პარტია საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად აპირებს, თუ განიხილავთ სხვა პარტიებთან რამე ალიანსს?

– ევროპული საქართველო მიიჩნევს, რომ არჩევნები ერთადერთი საშუალებაა, ხელისუფლების ცვლილებისთვის. თუ არჩევნებში არ გაქვს საკმაო უპირატესობა, სხვა გზით ვერ მოახერხებ ხელისუფლების შეცვლას. ამიტომ, რა თქმა, უნდა ჩვენი პარტია გეგმავს არჩევნებში მონაწილეობას, შესაბამისად, ევროპული საქართველო, პირველ რიგში, ცდილობს, საკუთარი ამომრჩევლის გაზრდას და თანამოაზრეების შემოკრებას.

მესმის თქვენი კითხვის არსი... კვლევებმაც აჩვენა, რომ ორი პარტიის გარდა, საარჩევნო ბარიერს ვერც ერთი პარტია ვერ გადალახავს და შესაძლოა, პარტიებს მოუწიოთ გარკვეული ალიანსების შექმნა და გარკვეული კონფიგურაციის ჩამოყალიბება, მაგრამ 1+1=2, ასეთი მათემატიკური ფორმულა არასდროს მოქმედებს არჩევნებში... შესაბამისად, ევროპული საქართველოს და პირობითად, ლელოს ამომრჩევლის ერთმანეთზე მიმატებით, არ გამოვა ის, რაც დამოუკიდებლად ევროპულ საქართველოს აქვს. შესაძლებელია, პირიქით, უფრო მეტად დაიბნეს და შემცირდეს კონკრეტული პარტიის ამომრჩეველი. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ვიფიქროთ საკუთარი ამომრჩევლის გაზრდაზე და ამის შემდეგ საარჩევნოდ, როგორ კონფიგურაციაში მოგვიწევს შესვლა ამა თუ იმ თანამოაზრესთან, ეს უკვე მომავლის საკითხია.

იმისთვის, რომ ჩვენი ამომრჩეველი გავზარდოთ, არაერთ ნაბიჯს ვდგამთ. ხედავთ, რამდენად აქტიური კამპანია გვქონდა მთელი წლის განმავლობაში, სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით და არ ვიცი, დღეს, საქართველოში, არც ერთი პარტია, რომელიც ასე აქტიურია, მიუხედავად იმისა, რომ გაშუქება ისე აქტიურად არ ხდება, როგორც სხვა პარტიების... ამას აქვს ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები, თუმცა დაკვირვებული თვალი აუცილებლად შეამჩნევდა ევროპული საქართველოს აქტიურობას და ეს არის ის თემები, რომლებიც ჩვენი საზოგადოებისთვის განსაკუთრებულად მტკივნეული და მნიშვნელოვანია. ევროპული საქართველო, გარდა იმისა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი კამპანია აქვს აფხაზეთში, ქართველების გენოციდის აღიარებასთან დაკავშირებით, მუშაობს სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციასთან, რათა შევქმნათ და ჩამოვაყალიბოთ ჩვენი ხედვა სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით. ეს იქნება განათლება, ეკონომიკა, საგარეო პოლიტიკა და ა.შ. ამ ორგანიზაციებიდან მთავარი და წამყვანია „თავისუფლების ინსტიტუტი“, რომელთან ერთადაც ვქმნით დოკუმენტებს, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს განვითარება ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის პირობებში და ძალიან მწყდება გული, რომ ოპოზიციურ პარტიებს შორის, არ არის თავისუფალი კონკურენცია იმისთვის, რომ ერთმანეთს გავუზიაროთ მოსაზრებები, ამასთან დაკავშირებით.

კი, საზოგადიებრივი აზრი არის ჩამოყალიბებული, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, მაგრამ ამის შემდეგ, ვინ რას სთავაზობს ამომჩეველს, ამაზე საუბრის სივრცე არ არსებობს. საუბრის სივრცე ისეთი თემების გარშემოა, რომელიც ჩვენს საზოგადოებას არ აინტერესებს და კვლევებმაც დაადასტურა, რომ ამომრჩეველი მოწყეტილია პოლიტიკური კლასის დღის წესრიგს და სწორედ ამიტომაცაა იმხელა უნდობლობა, კვლევების მიხედვით, რადგანაც ამომრჩეველი ვერ ხედავს თავის თავს დღეს არსებულ პარტიებში.

ცუდი ტენდენციაა ის, რომ ცალკეა „ქართული ოცნება“, რომელიც არავის უნდა, ცალკეა ოპოზიცია და ყველას ერთ ქვაბში მოხარშვის პირიბებში, ევროპული საქართველო ყველაზე მეტად ზარალდება, რადგან ჩვენ ძალიან ბევრს ვაკეთებთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება ახლოს მივიდეთ ადამიანების რეალურ პრობლემებთან, თუმცა თავისუფალი კონკურენციის არარსებობის პირობებში, ევროპული საქართველო, სამწუხაროდ, დანარჩენ ოპოზიციასთან ერთ ქვაბში იხარშება.

– ამის მიზეზი ისიც ხომ არაა, რომ ამომრჩევლის ნაწილი გიგა ბოკერიას ასოცირებას, მაინც მიხეილ სააკაშვილის მმართველობასთან ახდენს?

– თავისთავად, ეს ნეგატივი გიგას მოჰყვება, მაგრამ გიგა ყველაზე ნაკლებადაა ამაში „დამნაშავე“. რა თქმა უნდა, გაყოფის შემდეგ, პარტიის ზოგიერთი ლიდერის ნაბიჯებმა ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო გაამყარა და დღეს ვნახეთ, ევროპული საქართველოს ყოფილი ლიდერები როგორ ცდილობენ, ნაციონალურ მოძრაობაზე „აცოცებას“, თავიანთი მერკანტილური მიზნებიდან გამომდინარე...

– ვის გულისხმოთ?

– თუნდაც გიგი უგულავას და ბევრია ასეთი, სახელებისა და გვარების ჩამითვლას არ დავიწყებ... ამან საგრძნობლად დააზიანა პარტია იმ დროს, როცა ისინი ამ პარტიაში იყვნენ და მას შემდეგაც, მაგრამ გიგა ბოკერიას წვლილი აქ არის ყველაზე ნაკლები და თუ ვინმე მოჰყვება ევროპულ საქართველოს, ნათლად დაინახავს, რომ იდეოლოგიურად რადიკალურად განსხვავებული პარტიაა ნაციონალური მოძრაობისგან.

რა თქმა უნდა, სწორედ ეს არის ევროპული საქართველოს ყველაზე რთულად გასავლელი და სხვა პარტიებისგან განსხვავებული სირთულე – ჩვენმა პარტიამ, ერთი მხრივ, უნდა დაამტკიცოს, რომ არის პარტია, რომელსაც შეუძლია ეს ქვეყანა მართოს სწორი მიმართულებით და მეორე მხრივ, უნდა ამტკიცოს, რომ არ არის ნაციონალური მოძრაობის დანამატი, თუმცა ვინც ევროპული საქართველოს საქმიანობას აქტიურად აკვირდება, მისთვის ეს დასამტკიცებელი არც გვაქვს, მაგრამ ჩვენი საზოგადოება უყურებს და აღიქვამს მხოლოდ იმას, რაც „მეინსტრიმ“ მედიის საშუალებით გადმოიცემა და ჯერჯერობით, „მეინსტრიმ“ მედიაა წამყვანი ინფორმაციის მიწოდების წყარო. სამწუხაროდ, მედიების მიერ გაშუქებული დღის წესრიგი აბსოლუტურად აცდენილია იმას, რაც ჩვენს პარტიას უნდა, რომ გვქონდეს.

– თუმცა, თქვენს პარტიას აქვს პარტნიორი პლატფორმა – „ტაბულა“...

– „ტაბულა“ ევროპული საქართველოს პარტნიორი ორგანიზაციაა, სხვადასხვა აქტივობასა და პროექტს მასთან ერთად ვქმნით, მაგრამ „ტაბულა“ არ იქცევა ისე უწესოდ, როგორც სხვა ტელევიზიები და გაშუქების თვალსაზრისით, ის არის პლატფორმა, რომელზეც თანაბრად შეიძლება გაშუქდეს სხვადასხვა პარტიის აქტივობა.

– გასაგებია... ქალბატონო ლელა, წელან თქვით, რომ სხვა პარტიებთან საარჩევნოდ ვერ დაწყვილდებით...

– მე ეს არ მითქვამს, ჩვენი ამოცანა ჯერ ჩვენი ამომრჩევლის გაზრდაა, რათა ვიყოთ მიმზიდველი, ღირებული. ნულების დაწყვილებით, ისევ ნული მიიღება და პატარა პარტიებთან დაკავშირებით, კვლევების მიხედვით, რეალური სურათი არც გვაქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არც ერთ პარტიას არ აქვს ის წონა, რომ მან წამყვანი პარტიის როლი ითამაშოს. შესაბამისად, ევროპული საქართველო საკუთარი ამომრჩევლის გაზრდას ცდილობს და ამის შემდეგ ... მოვლენებს რატომ ვუსწრებთ? ყველა ახლა შემდგარი პოლიტიკური ალიანსი არჩევნებამდე მისვლისთვის განწირულია... ჩემი აზრით, არჩევნებამდე კიდევ იმდენი დროა, რომ ეს პოლიტიკური ალიანსები ნაადრევია...

– შესაძლოა, ამომრჩეველს აინტერესებს, რამდენად აქვს ურთიერთობა ოპიზიციურ პარტიებს ყველაზე მრავალამომრჩევლიან ოპოზიციურ პარტიასთან. გასაგებია, რომ თქვენი პარტია, დიდი ხანია, დისტანცირდება ენმ-სგან, თუმცა საარჩევნოდ, ამ პარტიასთან თანამშრომლობის რამე ფორმას ხომ არ განიხილავთ?

– ჩემი აზრით, ამ ქვეყნის ძალიან დიდი პრობლემა როგორც არის „ქართული ოცნება“, ასევეა ნაციონალური მოძრაობაც. დღეს არსებული კონფიგურაციით, ნაციონალური მოძრაობა არავისთვისაა საინტერესო. მე, პოლიტიკაში ჩახედულმა ადამიანმა, ვერ გავიგე, რა უნდა ნაციონალურ მოძრაობას, რა არის მისი დღის წესრიგი და სამომავლო ხედვა, გარდა იმისა, რომ ყველა ცდილობს, როგორმე აცოცდეს ლიდერზე და სიისთვის ადგილები გაიმყაროს. ამის გარდა, ნაციონალურ მოძრაობაში დღეს არაფერი ხდება. ნაციონალური მოძრაობა დღეს არ წარმოადგენს ხალხის ხმას, ამიტომ, რამდენი პროცენტიც უნდა ჰქონდეს და რა ციფრებიც უნდა იწერებოდეს მის სასარგებლოდ, ეს პარტია, თუნდაც, ერთი ადამიანის ხმასაც კი არ წარმოადგენს.

– როგორ აფასებთ ნაციონალურ მოძრაობაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს? როგორც ჩანს, ნიკა მელია თავისი გუნდით გამოეყოფა პარტიას...

– არ მაინტერესებს, რას იზამს ნაციონალური მოძრაობის რომელიმე ლიდერი. არაა ეს ჩემთვის საინტერესო იმდენად, რამდენადაც თვითონ უწოდებენ საკუთარ თავებს მიშას გარეშე ნულებს და ჩემთვის მართლა ნულები არიან ყველანი იმიტომ, რომ მართლა ისე იქცევიან, როგორც ნულები...

როგორ მოქმედებს „ჰამასი“ ფსიქოლოგიურად ისრაელზე

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ვახტანგ მაისაია: „პირველად მიჭირს პროგნოზის გაკეთება“

ისრაელი-პალესტინის ომზე „ვერსია“ სამხედრო ანალიტიკოს ვახტანგ მაისაიას ესაუბრა:

– საერთაშორისო უსაფრთხოების დონეზე ხორციელდება კლასიკური ჰიბრიდული ომი, რომელსაც აწარმოებს ისრაელი და პალესტინის ჯიჰადისტური დაჯგუფებები. უშუალოდ ვარ ჰიბრიდული ომის სპეციალისტი, ჩემი წიგნით, საქართველოში ისწავლება ჰიბრიდული ომი, ასე რომ, როგორც ამ დარგის სპეციალისტმა, შემიძლია, გითხრათ, რომ ეს ომი მიმდინარეობს ორ, შედარებით არათანასწორ ძალას შორის. ისრაელი არის სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია საკმაოდ ძლიერი სამხედრო პოტენციალი, რომელშიც შედის შეიარაღებული ძალების მომზადების დონე; სამხედრო სამრეწველო კომპლექსის დონე; სამხედრო კადრები სტრატეგიული დაგეგმარების მიმართულებით და სამხედრო შეიარაღების ფლობა, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება.

როცა არათანაბარ ძალებზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ იმას, რომ ერთ მხარეს არიან არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორები – ისლამური ჯიჰადი და „ჰამასი“, „ჰესბოლა“, მეორე მხარეს კი არის სახელმწიფო ისრაელი, თუმცაღა ჰიბრიდული ომის კომპონენტი ისაა, რომ ვითარდება ხუთ სივრცეში: სამხედრო, საინფორმაციო/ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კიბერსივრცე.

ამ ჰიბრიდული ომის ხუთივე სივრცე არის მოცული. აქ გამოყენებულია პოლიტიკური ელემენტები, მაგალითად, ყურადღების გადატანა ერთი გეოსტრატეგიული ამბიდან მეორეზე. ასევე, პოლიტიკური იმიჯის მოსპობა, „ჰამასს“ ჰქონდა პოლიტიკური მისია, რომ დაეკნინებინა ისრაელის, როგორც სახელმწიფოს ძლიერების კომპონენტი და გადაეყვანა სუსტი სახელმწიფოს სტატუსის მქონეთა რიგებში.

ეკონომიკური ასპექტია ის, რომ გარკვეული ქვეყნები, რომლებიც ჰიბრიდულ ომს აწარმოებენ, ცდილობენ, მოწინააღმდეგე მხარე დააკნინონ. აქ საუბარია მოწინააღმდეგის მორალური და ეკონომიკური მდგომარეობის დასუსტებაზე და იძულებაზე, რომ თავს მოხვეული იქნას ის პოლიტიკური მიმართულება, რაც სურს მოწინააღმდეგეს. ამიტომ განსხვავდება ჰიბრიდული ომი სხვა თაობების ომებისგან...

ჰიბრიდული ომი გამოიხატება, ასევე, იმაში, რომ ფსიქოლოგიური ოპერაციების მთელი წყება ხორციელდება ორივე მხრიდან. მაგალითად, „ჰამასი“ ისრაელის ტერიტორიის სიღრმეში შეიჭრა, მძევლები გადმოიყვანა თავის ტერიტორიაზე და ამით, გარკვეულწილად, შეეცადა ისრაელში პოლიტიკური სიტუაციის აღრევას და სამწუხაროდ, „ჰამასმა“ ამას ნაწილობრივ მიაღწია.

– რას გულისხმობთ?

– თუ ისარელის ამჟამინდელი ხელისუფლება აპირებდა, განეხორციელებინა მასობრივი შეტევა ღაზას სექტორზე, ამ ფსიქოლოგიური ბრძოლის ელემენტმა, რომელიც „ჰამასმა“ განახორციელა... „ჰამასის“ უკან დგანან დიდი სახელმწიფოები და ეს დასამალი არაა, ესენია, თუნდაც, რუსეთი, ირანი და სირია, რომლებიც, სხვათა შორის, საქართველოს მტრებიც არიან. ირანზე შეიძლება არ ვთქვა ეს, მაგრამ სირიისა და რუსეთის დღევანდელი რეჟიმები რომ ჩვენი მტრები არიან, ეს გასაგებია. ირანთან გვაქვს, გარკვეულწილად, თანაბარი, მეზობლური ურთიერთობები, მაგრამ სამწუხაროდ, ისინი არიან ჩვენი მტრების გვერდით ამ ჰიბრიდულ ომში, ამიტომ ეს ნაწილობრივ ყურადსაღებია ჩვენთვის.

ისრაელის ამ ახალმა, დროებითმა მთავრობამ შეიკავა თავი მასობრივი სახმელეთო ოპერაციის განხორციელებისგან ღაზას სექტორზე და როდის განახორციელებენ ამას, არავინ იცის. მძევლების რაოდენობა გაიზარდა 200-მდე, რაც ისრაელზე მოქმედებს, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

„ჰამასი“ ცდილობს, ჰიბრიდულ ომში ჩაითრიოს ისრაელი, ურბანისტული ბრძოლების სქემაში და მეორე მხრივ, აიძულებს ისრაელს, განახორციელოს მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმა ანუ ფაქტობრივად, „ჰამასი“ თავისსავე მოქალაქეებს იყენებს ფსიქოლოგიური ომის მეთოდებისთვის, რომ ისრაელმა განახორციელოს დარტყმები მშვიდობიან მოსახლეობაზე, რომ მერე ამას მიეცეს პოლიტიკური მხარდაჭერა „ჰამასის“ მხარეს. კიბერომი კი იმაში გამოიხატება, რომ რუსულმა კერძო სამხედრო კიბერკომპანიამ განახორციელა პირდაპირი დარტყმა ისრაელის სახელმწიფოს სტრუქტურებზე და მოახდინა მისი პარალიზება.

ზოგადად, სიტუაცია არის ფეთქებადსაშიში, რადგანაც ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ნავთობის ფასმა აიწია, უკრაინის ეკონომიკური დახმარების კუთხით, აშშ-ს შეექმნა პრობლემები, რადგან ისრაელზე კიდევ ეკონომიკური დახმარების გამოყოფა აშშ-ის ეკონომიკას, შეიძლება, საკმაოდ მძიმე ტვირთად დააწვეს.

ისრაელსა და აშშ-ს შორის არსებობს ოთხი მნიშვნელოვანი შეთანხმება. განსაკუთრებით გამოვყოფდი 1952 წელს გაფორმებულ ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას, რომლითაც ისრაელს ენიჭება არანატო-ს სტრატეგიული მოკავშირის სტატუსი. სწორედ ამ შეთანხმების საფუძველზე, ისრაელი აშშ-სგან იღებს 3 მილიარდ დოლარს თავდაცვის ბიუჯეტის გაუმჯობესების მიზნით. ისრაელს, დაახლოებით, 10 მილიარდი დოლარი აქვს ბიუჯეტი და ამას ემატება აშშ-სგან მიღებული 3 მილიარდი, რაც საკმაოდ სერიოზული აკუმულირებული ძალაა. ამერიკული ბიუჯეტი როგორ გაუძლებს ამდენ დახმარებას, ეს კიდევ ცალკე თემაა.

სამხედრო თვალსაზრისით, ახალი ელემენტები იქნა გამოყენებული, როგორიცაა თუნდაც აერომობილური ოპერაციების ახალი სახე, დელტაპლანების სახით. პირველად განხორციელდა აერომობილური ოპერაცია სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების მიმართულებით... „ჰამასმა“ გამოიყენა საბრძოლო მოქმედება, რომელიც ითვალისწინებს ძველი მეთოდების გამოყენებას ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით, მაგალითად, 11 სექტემბრის ტერაქტის დროს, როგორც „ალ ქაიდამ“ გამოიყენა სამგზავრო თვითმფრინავი, როგორც საბრძოლო პილოტირებული თვითმფრინავი და განახორციელა დარტყმა აშშ-ის სტრატეგიულ ობიექტებზე.

ასეთი მეთოდით გაანადგურა „ტყუპების“ შენობები და დაარტყა სტრატეგიული მართვის ცენტრს – პენტაგონს და ა.შ. დაახლოებით, ასეთი ელემენტებია გამოყენებული „ჰამასის“ მიერ, ისრაელის წინააღმდეგ.

– სხვათა შორის, აშშ-ის ერთ-ერთმა გადამდგარმა გენერალმა „ჰამასის“ მიერ ისრაელზე თავდასხმა, სწორედ 11 სექტემბრის ტერაქტს შეადარა და განაცხადა, რომ ახლაც მსგავსი მასშტაბის ტერორისტული აქტია მოხდა...

– კი, 11 სექტემბრის მოვლენა არ იყო ტერაქტი, ეს იყო კარგად ორგანიზებული სამხედრო თავდასხმა, სამხედრო აქცია, რადგან ის მოიცავდა რამდენიმე ისეთ ელემენტს, რომლის მეშვეობითაც აშშ-მა პირველად აამოქმედა მე-5 მუხლით გათვალისწუნებული პრინციპი. მის ტერიტორიაზე მოხდა ფიზიკური თავდასხმა არასახელმწიფოებრივი აქტორის მიერ. მოკლედ, ეს იყო სამხედრო აგრესია. ფაქტობრივად, იგივე განახორციელა „ჰამასმა“ – ისლამურმა ჯიჰადისტურმა ტერორისტულმა გაერთიანებამ, რომელსაც გააჩნია სამხედრო ფორმირებები. მათ გაიარეს სპეციალური მომზადება ღაზას სექტორში და მის ფარგლებს გარეთ, სავარაუდოდ, ეს შეიძლება იყოს ლიბია. არ გამოვრიცხავ, რომ ავღანეთის ტერიტორიაზეც მომხდარიყო მათი მომზადება, რადგან თალიბანის განცხადებები და დეკლამაციები ამ სავარაუდო სცენარზე მიუთითებს.

– მოვლენების როგორ განვითარებას პროგნოზირებთ... ლტოლვილთა დიდი ნაკადი მიაწყდა ეგვიპტის საზღვრებს... ევროკავშირის სამიტი ჩაინიშნა და ევროპის ქვეყნები ფიქრობენ, როგორ დაეხმარონ მშვიდობიან მოქალაქეებს... საქართველომ რა პოზიცია უნდა დაიკავოს ამ ვითარებაში?

– საქართველოს პოზიცია არის აბსოლუტურად ადეკვატური და სწორი, რადგან „ჰამასის“ უკან დგანან ის ძალები, რომლებიც არიან ჩვენი მტრები – სირია და რუსეთის ფედერაცია, რომლებიც ეხმარებიან ჩვენს ტერიტორიაზე მოქმედ სეპარატისტებს და ჩვენ წინააღმდეგ აქეზებენ, რბილად რომ ვთქვათ.

ისრაელი არის ჩვენი სტრატეგიული მეგობარი, იქ არის ჩვენი ქართული „ალიას“ დიდი დიასპორა.... ისრაელიდან დამიკავშირდნენ ქართველი-ებრაელები და მთხოვეს კონსულტაციები... ამიტომ, ეს ფაქტორი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ისრაელმა, თავის დროზე, დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი შეიარაღებული ძალების სამხედრო პოტენციალის განვითარებაში, მათ წვრთნასა და აღჭურვაში. ისრაელი ჩვენი ერთგული მოკავშირეა. ისრაელის სტრატეგიული მოკავშირეა აშშ, რომელიც ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეცაა. აქედან გამომდინარე, ჩვენი პოზიცია სავსებით სწორი და ადეკვატურია, თუმცა როგორ განვითარდება მოვლენები, ეს საკმაოდ რთული სათქმელია. პირველად მიჭირს რამე პროგნოზის გაკეთება.

ისრაელი დგას უსაფრთხოების დილემის წინაშე ანუ მის წინაშე განხორციელდა სერიოზული სამხედრო თავდასხმა, რომლის გატარება არ შეიძლება და ისრაელის ხელისუფლებამ სწორად აიღო გეზი, რომ მოახდინოს „ჰამასისა“ და ისლამური ჯიჰადის სრული განადგურება. მეორე მხრივ კი, ამ დაჯგუფებების უკან დგანან საკმაოდ სერიოზული ძალები ანუ რუსეთი, ირანი და სირია. რუსეთი ყველაფერს იზამს, რომ გამოიყენოს საკუთარი ინტერესებისთვის... მან მოახერხა ამით, რომ საინფორმაციო ველი გადაეფარა უკრაინის საკითხზე. ასევე, რუსეთი ეცდება, გადაუკეტოს საფინანსო, სამხედრო დახმარება აშშ-ისა და დასავლეთისგან უკრაინას, რათა უკრაინა აღმოჩნდეს ბლოკადაში და მერე, ეტაპობრივად დაიკავოს უკრაინის ის ტერიტორიები, რომლისკენაც რუსეთი ისწრაფვის.

მთავრობის სტრატეგია ადრეულ, სკოლამდელ და ზოგად განათლებაში

მაკა რუხაძე

„ვერსია“ აგრძელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ყოველწლიური ანგარიშის დეტალურ განხილვას, რომლითაც ის საკანონმდებლო ორგანოში, ივლისის დასაწყისში წარსდგა. ამჯერად, განვიხილოთ, რა სტრატეგია აქვს მთავრობას ადრეულ, სკოლამდელ და ზოგად განათლებაში.

ირაკლი ღარიბაშვილის ყოველწლიური ანგარიშის მნიშვნელოვანი დეტალები

ადრეული და სკოლამდელი განათლება

პრემიერ-მინისტრის ანგარიშის მიხედვით, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესასაბამისად, შეიქმნა ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა, რომლითაც საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა მოქმედი დაწესებულებების აღრიცხვა, შემდგომში მათთვის ავტორიზაციის განრიგის შემუშავების მიზნით.

„სულ დარეგისტრირდა 2 028 დაწესებულება, აქედან 1 705 – საჯარო და 323 – კერძო. ბაზაში რეგისტრირებული დაწესებულებები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხრიდან მიიღებენ მხარდამჭერ სერვისებს და ჩაერთვებიან შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებებში. აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების მიმართულებით, სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამები პროგრამული აკრედიტაციისთვის მომზადებული აქვს ექვს სახელმწიფო უნივერსიტეტს, ხოლო სამმა უკვე წარადგინა. ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებენ აღმზრდელის უმაღლეს პროფესიულ პროგრამებს.

გრძელდება სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა ბილინგვური მიდგომით არაქართულენოვან სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებში. შემუშავდა თანამედროვე სკოლამდელ სტანდარტებსა და ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ბილინგვური სასწავლო რესურსები. პროგრამაში ჩართულია 35 სკოლამდელი საფეხურის ორენოვანი მასწავლებელი. ბილინგვური პროგრამა ხორციელდება 15 სკოლამდელ დაწესებულებაში“, – ვკითხულობთ პრემიერის ანგარიშში.

ინკლუზიური, ხარისხიანი, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ყველა ბავშვისათვის მიწოდების მხარდაჭერის მიზნით, მომზადდა „ადრეული და სკოლამდელი ინკლუზიური განათლების გზამკვლევი“, რომელიც დაეხმარება დაწესებულებებს მიმდინარე პროცესების ინკლუზიური განათლების პრინციპების მიხედვით დაგეგმვასა და განხორციელებაში.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა აღმზრდელ პედაგოგთა გადამზადება. 2022 წლის ივნისიდან დღემდე, „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული“ გაიარა 514-მა პირმა, ხოლო „ადრეული განათლების კურიკულუმის – თამაშის“ დანერგვის მიზნით, გადამზადებულია 460 პირი.

„ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, დაიწყო ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით, 885 საბავშვო ბაღის მშენებლობასა და რეაბილიტაციას ითვალისწინებს. პროგრამა რამდენიმე ეტაპად განხორციელდება, რასაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ჯამში, 1.3 მილიარდი ლარი მოხმარდება. პირველი ეტაპის სამუშაოებისთვის, 100 მილიონი ლარი, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია“.

ზოგადი განათლება

ზოგადი განათლების მიმართულებით, საბიუჯეტო დაფინანსება 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, გაიზარდა 256.8 მლნ ლარით და შეადგინა 1 568.5 მლნ ლარი. ასევე გაიზარდა მასწავლებელთა სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატის მოცულობა 125 ლარის ოდენობით და უფროსი მასწავლებლისათვის განისაზღვრა 795 ლარით, წამყვანი მასწავლებლისათვის – 1 175 ლარით, ხოლო მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლისათვის – 1 475 ლარით. განხორციელდა სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის თანამდებობრივი სარგოს ზრდა 10%-ის ფარგლებში. გარდა ამისა, გრძელდება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების პროცესი. დამტკიცებულია საშუალო საფეხურის განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმა.

„2022-2023 სასწავლო წლიდან, დაიწყო ახალი საგნობრივი სტანდარტების დანერგვა ქართულენოვან სკოლებში (X კლასი); 2023-2024 სასწავლო წლიდან დაიწყება XI კლასის განახლებული სტანდარტების დანერგვა. 2022-2023 სასწავლო წლისთვის სიახლეები შევიდა ეროვნულ სასწავლო გეგმაში. საშუალო საფეხურს დაემატა სავალდებულო პროექტებით სწავლება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მუსიკასა და სამოქალაქო განათლებაში. პროექტის შერჩევა ხდება მოსწავლესთან შეთანხმებით. დაწყებით საფეხურზე, I კლასში, საქართველოს სკოლებში სავალდებულო გახდა ჭადრაკის სწავლება – კვირაში ერთსაათიანი დატვირთვით. II კლასიდან (II-VI კლასები) სავალდებულო გახდა „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ სწავლება. ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარებისა და დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი გზამკვლევები“.

მთელი საქართველოს მასშტაბით, აქტიურად ინერგება ინკლუზიური განათლება, რათა ყველა ბავშვს ჰქონდეს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა. საანგარიშო პერიოდში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების მხარდასაჭერად, მიმდინარეობდა პროექტი „არცერთი ბავშვი განათლების გარეშე“, რომელიც მიზნად ისახავს თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ მრავალმხრივ საგანმანათლებლო მხარდაჭერასა და სასწავლო გარემოში ინკლუზიური განათლების პრაქტიკის ხარისხის გაუმჯობესებას.

საანგარიშო პერიოდშივე შეიქმნა ქართული ბრაილის შრიფტის ელექტრონული მხარდაჭერა, რომელმაც უსინათლო ადამიანებს შესაძლებლობა მისცა, ბრაილის ელექტრონული ეკრანის გამოყენებით წაიკითხონ კომპიუტერის ეკრანზე გამოსახული ინფორმაცია; ბრაილის კლავიატურის გამოყენებით აკრიფონ ტექსტი და სრულყოფილად ისარგებლონ კომპიუტერით, როგორც სასწავლო და სამუშაო გარემოში, ასევე, ყოველდღიურ ცხოვრებაში.

„გრძელდება სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ბილინგვური მეთოდით არაქართულენოვან სკოლებში. 2022 2023 სასწავლო წელს, პროგრამაში ჩართულია 41 საჯარო სკოლა, მათგან 16 სკოლა უშუალოდ 2022-2023 სასწავლო წელს ჩაერთო. 2023 წელს გამოცხადდა ღია კონკურსი ყველა მსურველისთვის დამხმარე მასწავლებლის შესარჩევად ოთხი საგნის მიმართულებით. დარეგისტრირდა 700 აპლიკანტის საკონკურსო განაცხადი 1 800 პოზიციაზე, რომელთაგან 500-მდე კანდიდატი გადავიდა მომდევნო ეტაპზე“.

საანგარიშო პერიოდში, „ქართული დიასპორისთვის დისტანციური სწავლების მხარდაჭერის ქვეპროგრამის“ ფარგლებში, უცხოეთში მცხოვრები 870 ქართველი მოსწავლე 72 ქვეყნიდან ონლაინ-რეჟიმში ეუფლებოდა ქართულ ენას.

სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური“, დამატებით, 85 საჯარო სკოლაში შევიდა. მოცემულ ეტაპზე, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, საქართველოს მასშტაბით, 692 საჯარო სკოლაში, 2 კერძო სკოლასა და 1 პროფესიულ კოლეჯში უზრუნველყოფს.

„სასკოლო-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: დასრულდა 133 საჯარო სკოლის მშენებლობა/სრული რეაბილიტაცია; დასრულდა 200-ამდე საჯარო სკოლის ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები; მიმდინარეობს 53 საჯარო სკოლის მშენებლობა/სრული რეაბილიტაცია; მიმდინარეობს 40-ამდე სკოლის ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები; მიმდინარეობს 273 საჯარო სკოლის მშენებლობა/სრული რეაბილიტაციისთვის საპროექტო სამუშაოები“.

გარდა ამისა, სკოლებში თანაბრად ხელმისაწვდომი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, დაიწყო 1 მილიარდი ლარის ღირებულების უპრეცედენტო მასშტაბის პროექტის განხორციელება. პროექტი ითვალისწინებს 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციას. პირველ ეტაპზე, 2022 წელს, გამოცხადდა და უკვე დასრულებულია ტენდერები 2022-2025 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, 320 საჯარო სკოლის რეკონსტრუქციასა და რეაბილიტაციაზე, რომელთაგან ამ ეტაპზე, სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები წარმოებს ხუთ საჯარო სკოლაში და წინამოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს 150 სკოლის სრული სარეაბილიტაციო სამჯუშაოების დასაწყებად. უკვე დასრულდა 67 საჯარო სკოლის მშენებლობაზე გამოცხადებული ტენდერები, რომელთაგან ოთხი სკოლის მშენებლობის პროცესი უკვე დაწყებულია. სატენდერო პროცედურები 13 სკოლის მშენებლობაზე მიმდინარეობს.

დარღვევები უმაღლესი სასწავლებლების ავტორიზაციაში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნა – ინტერესთა კონფლიქტი ავტორიზაციის საბჭოში

მაკა რუხაძე

არც ისე დიდი ხანია, რაც ახალი სასწავლო წელი დაიწყო. უმაღლესი სასწავლებლების ავტორიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროცესია განათლების სისტემაში. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური უმაღლესი სასწავლებლების ავტორიზაციით დაინტერესდა. შესაბამისობის აუდიტი, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2018-2021 წლების ავტორიზაციის პროცესს მოიცავს. როგორც მოსალოდნელი იყო, დარღვევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციაშიც გამოვლინდა. მეტიც, ინტერესთა კონფლიქტიც კი გამოიკვეთა.

ზოგადი ინფორმაცია

ვიდრე სახელმწიფო აუდიტორების მიერ გამოვლენილ დარღვევებს განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმია, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი“ ახორციელებს. ავტორიზაცია საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურაა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

„საავტორიზაციო შეფასება ხორციელდება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ეფუძნება დაწესებულების თვითშეფასებითა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგადმიღებული ინფორმაციის ანალიზს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების მიზანია განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა და სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა; საგანმანათლებლო პროგრამები; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი; სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები; კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა; მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოსაპოვებლად, საავტორიზაციო პროცესი 180 დღეს გრძელდება. აღნიშნული ვადის ათვლა იწყება მას შემდეგ, რაც ცენტრი დაადგენს, რომ საავტორიზაციო განაცხადი სრულყოფილადაა წარდგენილი და სცნობს განმცხადებელს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო, რომლის წევრებსაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებით, ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე. მინიჭებული ავტორიზაციის ვადა ექვსი წელია.

ხარვეზები ავტორიზაციის საფასურის განსაზღვრაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 2018-2021 წლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საფასურის სახით მიღებულმა შემოსავლებმა 1 966 967 ლარი შეადგინა. ახლა, ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა ავტორიზაციის საფასურის განსაზღვრაში:

„შესამოწმებელ პერიოდში, ავტორიზაციის საფასურში გათვალისწინებული იყო დამატებითი ღირებულების გადასახადი – დღგ. 2020 წლის ივლისში, საქართველოს საგადასახდო კოდექსში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, ეკონომიკურ საქმიანობად არ განიხილება საჯარო სამართლის იურდიული პირის – სსიპ საქმიანობა, თუ ის საქმიანობის განხორციელებისას მოქმედებს, როგორც სახელმწიფო ორგანო (ასრულებს სახელმწიფოს მიერ მისთვის დელეგირებულ საქმიანობას) იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ საქმიანობისათვის დადგენილია საწევრო, მოსაკრებელი, საფასური ან სხვა გადასახდელი. აღნიშნული ნორმის მიხედვით, ცენტრი არ განიხილება დღგ-ით დასაბეგრ პირად, ვინაიდან საგადასახადო მიზნებისთვის მისი საქმიანობა არ განეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას. ეს ხარვეზი გასწორდა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებაში, 2022 წლის 29 დეკემბერს შეტანილი ცვლილებით“.

სწორედ ამ კრიტერიუმის მიხედვით, ავტორიზაციის საფასური მოიცავს შესაბამის ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ ხარჯებს, რაც მიუთითებს კრიტერიუმის ნაკლოვანებაზე. კერძოდ, ავტორიზაციის საფასური წარმოადგენს ე.წ. „ნორმატიულ ფასს“, რომელიც დამტკიცებულია სამინისტროს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით (მინისტრის ბრძანება). შესაბამისად, შეუძლებელია აღნიშნული ტარიფები განისაზღვროს ფაქტობრივი ხარჯების საფუძველზე. საფასურის განსაზღვრა და უსდ-ის მიერ გადახდა ხორციელდება წინასწარ, ავტორიზაციის მომსახურების გაწევამდე და მისი გაანგარიშება ვერ დაეფუძნება მოცემულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად გაწეულ ხარჯებს.

„რიგ შემთხვევებში, მომსახურების ტარიფის მდგენელი ხარჯის ნორმატიული მოცულობა, არსებითად განსხვავდება ამავე სახის ხარჯის ფაქტობრივი მოცულობისაგან. მაგალითად, რეგულირებადი სამედიცინო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სასწავლებლების ავტორიზაციის საფასურში გათვალისწინებულია ექსპერტთა ჯგუფში თანათავმჯდომარის სტატუსით შესული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე საერთაშორისო ექსპერტის შრომის ანაზღაურება – 12 000 ლარის ოდენობით მაშინ, როდესაც აღნიშნული ექსპერტების შრომის ანაზღაურების ფაქტობრივი ხარჯი, საშუალოდ, 8 000 ლარის ფარგლებში მერყეობს“.

აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ავტორიზაციის საფასურში გათვალისწინებული არ არის აპელაციასთან დაკავშირებული ხარჯები, დავების შემთხვევაში. განსხვავებული მიდგომაა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში, როდესაც აკრედიტაციის საფასური ითვალისწინებს აპელაციის ხარჯებს. სულ 2018-2019 წლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საკითხებთან დაკავშირებით, ცენტრის სააპელაციო საბჭოს მიერ, ხუთი სასწავლებლის მიმართ მიღებულია 12 გადაწყვეტილება. რიგ შემთხვევებში, მომსახურების ტარიფის მდგენელი ხარჯის ნორმატიული მოცულობა, არსებითად განსხვავდება ამავე სახის ხარჯის ფაქტიური მოცულობისაგან, რაც ზრდის ტარიფის არასამართლიანობის რისკებს.

ინტერესთა კონფლიქტი

ავტორიზაციის საბჭოს წევრი ვალდებულია, დღის წესრიგის გაცნობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, განაცხადოს დაწესებულებასთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმი-

დასასრული მე-8 გვერდზე

დარღვევები უმაღლესი სასწავლებლების ავტორიზაციაში

მე-7 გვერდიდან

ნისტრაციული კოდექსით დადგენილი გარემოების არსებობა, რაც გულისხმობს, რომ საბჭოს წევრმა მონაწილეობა არ უნდა მიიღოს ზეპირ მოსმენაში იმ შემთხვევაში, თუ თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში ან/და შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან. ავტორიზაციის ექსპერტი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება, თუ მას აქვს ინტერესთა კონფლიქტი ავტორიზაციის მაძიებელ იმ დაწესებულებასთან, სადაც უნდა განახორციელოს ვიზიტი.

ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა ამ ნაწილში. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ რიგ შემთხვევებში, საბჭოს სხდომებზე ავტორიზაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ დაინტერესებულ მხარესთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირები.

„კერძოდ, 2018 2021 წლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს შვიდ წევრს, 11 შემთხვევაში, სტატუსის მაძიებელ სასწავლებლებთან ინტერესთა კონფლიქტის არსებობის მიუხედავად, საკითხის განხილვის დაწყებამდე, თვითაცილების შესახებ განცხადება არ გაუკეთებია. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“, როგორც ავტორიზაციის წარმოების პროცესში, ასევე, ავტორიზაციის შემდგომი შეფასების მიზნით მიღებული რეკომენდაციების შესრულებისა და დაწესებულების ფუნქციონირების გაუმჯობესების მონიტორინგში, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში მონაწილეობდა პირი, რომელიც შრომითი საქმიანობით დაკავშირებული იყო აღნიშნულ სასწავლებელთან“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, 2018 წლის 27 აგვისტოს ჩატარებულ საბჭოს სხდომაზე, საბჭოს წევრად და ამავდროულად, საბჭოს მდივნის რანგში მონაწილეობდა დაინტერესებული მხარე – ამავე სასწავლებლის დოქტორანტი.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ავტორიზაციის მინიჭებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების, ასევე, ავტორიზაციის პირობების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგის პროცესში დაინტერესებული პირის მონაწილეობა, არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების რისკებს ზრდის.

შრომის ანაზღაურება და კლინიკური სწავლება

ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა შრომის ანაზღაურებასა და კლინიკურ სწავლებაში. აუდიტოს შედეგად გაირკვა, რომ 2018-2021 წლებში, ავტორიზაციის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მონაწილე საერთაშორისო ექსპერტებზე, შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე, შრომის ანაზრაურების სახით, მთლიანობაში 287 225 ევრო გაიცა.

„საერთაშორისო ექსპერტის შრომის ანაზღაურება საშუალოდ, 1 875 ევროდან 4 500 ევრომდე მერყეობს. შრომის ანაზღაურების სახით გადასახდელი თანხების ოდენობა განსაზღვრულია მხარეთა მოლაპარაკების შედეგად გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობით. რიგ შემთხვევებში, სათანადოდ არ არის დასაბუთებული შრომის ანაზღაურებაზე მოქმედი ფაქტორების (მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის საჭირო თანხები, შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა და სამუშაოს დაწყების ვადები) მსგავსების პირობებში, შრომის ანაზრაურების მოცულობის თობაზე არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების მიღება“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

რაც შეეხება ხარვეზებს კლინიკურ სწავლებაში, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ჯანდაცვის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებიდან, რეგულირებად სამედიცინო აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა 22 სასწავლებელი. აღნიშნულ სასწავლებლებში, 2018 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, სტუდენტთა რიცხოვნობა 14 866, ხოლო 2021 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით – 22 584 იყო. სტუდენტთა რაოდენობის მატება განპირობებულია უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის ზრდით.

„სასწავლებლების მიერ, ავტორიზაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი პრაქტიკის ხელშეკრულებების პირობებთან შესაბამისობის ანალიზით დადგინდა, რომ დღეისთვის, საქართველოში მხოლოდ ორი სამედიცინო პროფილის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფლობს საუნივერსიტეტო კლინიკას, ხოლო 20 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები პრაქტიკას გადიან საქართველოში არსებულ სხვადასხვა სამედიცინო კლინიკაში, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. 2018-2021 წლებში, მხოლოდ თბილისში არსებული რეგულირებადი სამედიცინო პროგრამის განმახორციელებელი 18 სასწავლებლის მიერ, კვლევისა და პროფესიული უნარების შესწავლის მიზნით, ხელშეკრულებები გაფორმებულია 161 სამედიცინო დაწესებულებასთან. სტუდენტები კლინიკურს წავლებას გადიან ერთსა და იმავე დაწესებულებებში. კერძოდ, არის შემთხვევები, როდესაც პრაქტიკის გავლაზე კლინიკასთან ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს ერთდროულად 7-11 სასწავლებელს. არ არსებობს აღნიშნული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ერთიანი ელექტრონული სისტემა“.

ხელშეკრულებების პირობების ანალიზით დადგინდა, რომ ხელშეკრულებათა უმრავლესობაში არ არის განსაზღვრული პრაქტიკის ხანგრძლივობა; მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა; კონკრეტული სამედიცინო მიმართულებები; პრაქტიკის ხელმძღვანელები; სტუდენტთა პრაქტიკულ სწავლებაში ჩართული კლინიკის პერსონალის რაოდენობა და სივრცე, რომელსაც იყენებენ სტუდენტები; უცხოელი სტუდენტების მიერ პრაქტიკის გავლის პროცესში, კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული ენობრივი ბარიერისა და კლინიკური სწავლების ზედამხედველობასთან დაკავშირებული საკითხები.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, დეტალურად არ არის განსაზღვრული მხარეთა უფლებები, ვალდებულებები და კონტროლის მექანიზმები, რაც მაქსიმალურად აამაღლებდა სასწავლო პრაქტიკის ხარისხს.

სამართალი

№39 18 ოქტომბერი 2023 წ

„მე დიდხანს უნდა ვიცოცხლო, დიდხანს უნდა დავიტანჯო!“

საზარელი დანაშაული – რატომ მოკლა დედამ შვილი

ბათო ჯაფარიძე

შემთხვევა, რომელზეც ახლა გიამბობთ, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში მოხდა. ადრე ხშირი იყო, საქართველოში დაბადებული აზერბაიჯანელები ისტორიულ სამშობლოში რომ მიდიოდნენ სასწავლებლად, შემდეგ კი, ძალიან ბევრი სამუშაოდ იქვე რჩებოდა. ასე, მაგალითად, ბოლო დრომდე, აზერბაიჯანის გენერალური პროკურორი დმანისში დაბადებულ-გაზრდილი ქართველი იყო, მინისტრის მოადგილეებსა და დეპარტამენტის უფროსებს კი, რომლებიც საქართველოში დაიბადნენ, თვლა არ აქვს. ჰოდა, წლების განმავლობაში, აზერბაიჯანში გამომძიებლად ნამუშევარი, ახლა კი საქართველოში დაბრუნებული ყოფილი ძალოვანი ყვება ისტორიას, რომელსაც, ალბათ, ერთ-ერთი, ყველაზე ტრაგიკული ფინალი აქვს, ფინალი, რომელსაც არც თავად გამოძიება ელოდა და ვერავინ წარმოიდგენდა.

ყველაფერი ძალიან ბანალური შემთხვევით დაიწყო. ბიძაშვილები, ერთად გაზრდილი ბიჭები, საღამოს შინ ბრუნდებოდნენ, მეგობრის დაბადების დღეზე იყვნენ და გზის პირას, ტროტუარზე, ტაქსის გამოვლას ელოდნენ. ამ დროს, საიდანღაც ბენზინმზიდი გამოჩნდა, პირდაპირ ტროტუარზე ავარდა და გარდა იმისა, რომ ბიჭები გაიტანა, ამოყირავდა, ბენზინი დაიღვარა და ცეცხლი გაჩნდა. როცა სახანძრო მივიდა, ადგილზე სამი დანახშირებული სხეული ნახა და ცოცხალი მხოლოდ ერთი იყო – ერთ-ერთი ბიჭი, მაგრამ დამწვრობის გამო, მისი ცნობა თითქმის გამორიცხული გახლდათ. ბიჭების მშობლები საავადმყოფოში მაშინვე მივიდნენ, მაგრამ რა უნდა გაეკეთებინათ? გადარჩენილი საოპერაციოდ ჰყავდათ შეყვანილი, ექიმები მისი სიცოცხლისთვის იბრძოდნენ და გადაარჩინეს კიდეც, თუმცა საოპერაციოდან გამოსულმა ქირურგმა კოლეგებს დანანებით უთხრა, ეს ბიჭი რომც გადარჩეს, თავის ქალა ისე აქვს დაზიანებული, გამორიცხულია, ნორმალურად აზროვნება შეძლოსო. რა თქმა უნდა, მშობლებს ამის შესახებ არაფერი უთხრეს, ეგებ, სასწაული მოხდესო, თანაც ოპერაციის წარმატებით ჩატარების მიუხედავად, ბოლომდე გადაწყვეტილი მაინც არ იყო, შეძლებდა თუ არა ბიჭი მდგომარეობიდან გამოსვლას.

რაც შეეხება მეორე ბიძაშვილს, ის დაასაფლავეს და ნათესაობა გადარჩენილისთვის ლოცულობდა. პრეტენზია ვერც ბენზინმზიდის მძღოლის ოჯახს წაუყენეს, რადგან ექსპერტიზის დასკვნით, მძღოლი ნასვამი არ იყო, მას, უბრალოდ, გული გაუჩერდა და საჭე ამ მიზეზით ვეღარ დაიმორჩილა. ასე გავიდა, დაახლოებით, ერთი კვირა. გადარჩენილი ბიჭი ისევ რეანიმაციაში იყო, დედამისი ლამის იქ აღამებდა და ათენებდა, შინ მხოლოდ ტანსაცმლის გამოსაცვლელად მიდიოდა და ერთ დღესაც, როცა უკან დაბრუნდა, ექიმებმა სამწუხარო ამბავი ამცნეს – მისი შვილი გარდაიცვალა, თუმცა ეს ყველაფერი არ იყო – ადგილზე სამართალდამცავები მუშაობდნენ და გაუბედურებულმა დედამ მკაფიოდ გაიგონა, როგორ თქვა ერთ-ერთმა ფორმიანმა, რას ერჩოდნენ ამ ბიჭს, რომ მოკლესო. გამოდიოდა, რომ ახალგაზრდა არა მიღებული ტრავმებით ან დამწვრობით გარდაიცვალა, არამედ, მოკლეს. ამ ინფორმაციამ ყველა ააღელვა, სანათესაო საავადმყოფოს დანგრევით იმუქრებოდა, გამომძიებლებს კი საქმე დაუგროვდათ – მათ უნდა გაერკვიათ, ჰყავდა თუ არა გარდაცვლილი ბიჭის ოჯახს მტრები და რაც მთავარია, ხომ არ მოხდა ისე, რომ ბენზინმზიდის მძღოლს რამე წამალი გაუკეთეს, რათა ბიჭებს დასჯახებოდა, თუმცა ეს ვერსია მალე გამოირიცხა, რადგან ვერავინ გათვლიდა, რომ ბიჭები მაინცდამაინც იმ ადგილზე გაჩერდებოდნენ, არცერთი მეტრით წინ ან უკან და თანაც ზუსტად იმ დროს, როცა გზაზე ბენზინმზიდს უნდა გაევლო.

მკვლელობა სასტიკი გახლდათ – ბიჭს ის აპარატი ჰქონდა თავში რამდენჯერმე ჩარტყმული, რომელზეც მიერთებული იყო. გარდაცვლილის მამა რიგითი მაღალჩინოსანი არ იყო, მაგრამ არც ისეთი თანამდებობა ეკავა, ვინმეს შური ასეთი სასტიკი მკვლელობით ეძია.

„ეგ ბიჭი ერთი გავლენიანი კაცის გოგოს უყვარდა, იმ კაცმა გარდაცვლილის მამას უთხრა, დავნიშნოთ, მაგრამ ბიჭმა თავი გაიგიჟა, ჯერ არც ცოლის მოყვანას ვაპირებ და მით უმეტეს, მაგ გოგოს არ მოვიყვან, არ მიყვარს და საერთოდ, სხვა გეგმები მაქვსო. ჰოდა, არ არის გამორიცხული, შური იმ კაცმა იძია, ვერ აიტანა შეურაცხყოფა, მით უმეტეს, რომ ეს ამბავი გახმაურდა და სულ რაღაც სამი თვეა გასული“, – თქვა ერთ-ერთმა ოპერმუშაკმა და გოგოს მამის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ბევრს ეს ვერსია სარწმუნოდ ეჩვენა. დაიწყეს ამ ვერსიაზე მუშაობა, მაგრამ უკვე მეორე დილით იცოდნენ, რომ ტყუილად ირჯებოდნენ – გოგონა სხვა ბიჭზე იყო უკვე დანიშნული და მამამისს საერთოდ არ აინტერესებდა, რას აკეთებდა ის, ვინც მის ქალიშვილს უარი უთხრა.

სამართალდამცავებმა მედპერსონალის პირადი საქმეების შესწავლა დაიწყეს და აღმოაჩინეს, რომ საავადმყოფოში დამლაგებლად მუშაობდა ქალი, რომელიც მანამდე გარდაცვლილი ბიჭების მასწავლებელი იყო. სწორედ ამ ბიჭებთან კონფლიქტის გამო, სკოლიდან დაითხოვეს და დაითხოვეს მგლის ბილეთით. ჰოდა, პედაგოგი ქალი, დამლაგებლად ძლივს მოეწყო და რატომ არ უნდა ჰქონოდა მოტივი? დამლაგებელი მკაცრად დაჰკითხეს, თუმცა მან თქვა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყო რეანიმაციაში, არც კი იცოდა, რომ ბიჭები დაიწვნენ და ყველაფერს აკეთებდა, პაციენტებსა თუ მათ ახლობლებს თვალში არ მოხვედროდა, ერიდებოდა, რომ დამლაგებლად მუშაობდა და ამიტომ, საქმეს პირბადეაფარებული, თავჩახრილი აკეთებდა. მეტიც, როცა კითხვა მკვლელობაზე დაუსვეს, ლამის გული წაუვიდა, როგორი მკვლელი ვარ, სისხლის დანახვაზე გული მიმდისო და მთავარმა ექიმმაც დაადასტურა, რომ საოპერაციოსთვის სხვა დამლაგებელი ჰყავდათ, რადგან ყოფილი მასწავლებელი, სისხლის შიშის გამო, იქ ვერ შედიოდა.

სამართალდამცავები მარტივი გზით წასვლას შეეცადნენ – ეგებ ის აპარატი, რომელზეც ბიჭი იყო შეერთებული, ცუდად იდო და თავისით გადმოვარდაო, მაგრამ ეს გამოირიცხა. ჯერ ერთი, აპარატი ბიჭს თავთან არ ედო და მეორეც, რომც გადმოვარდნილიყო, ერთხელ დაეცემოდა და გაჩერდებოდა, ექსპერტიზის დასკვნით კი, მკვლელმა მძიმე აპარატი ბიჭს რამდენჯერმე ჩაარტყა. ვერსიები ამოიწურა და გამოძიებამ ხელები ჩამოუშვა – მათ არც ეჭვმიტანილი ჰყავდათ, არც მოტივი იცოდნენ და ზოგადად, წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა უნდა გაეკეთებინათ. ბიჭის გასვენების დღე ახლოვდებოდა და ოპერმუშაკები წასვლას აპირებდნენ, ეგებ, ვინმეს რამე წამოსცდეს, რომ ახალ ვერსიას ჩავებღაუჭოთო, მაგრამ წასვლამდე გარდაცვლილის ოჯახიდან დარეკეს და სამართალდამცავების მისვლა მოითხოვეს.

„ეს ჩემი შვილი არ არის, ეს მეორე გარდაცვლილი ბიჭია. არ მინდოდა, ასე დაბინტული დაგვესაფლავებინა, შევხსენით და წვივით მივხვდი, რომ ჩემი არაა. ორი წლის წინ, წვივის ძვალი გაუტყდა, ექიმმა მაშინ პლატინა ჩაუსვა, მერე აღარ ამოვიღეთ, ხელს არ უშლიდა და ისედაც ხომ ოქროს ბიჭი მყავდა. ახლა კი, პლატინა არ არის, არც ძვლის შეხორცების ადგილია, გამოდის, ექიმებს შეეშალათ, ჩემი ბიჭი ადგილზე მოკვდა და ეს მეორეა, ბიძაშვილი. ყველა დაიჭირეთ, ყველა გაასამართლეთ“, – მოთქვამდა ქალი.

რაღა თქმა უნდა, გამომძიებლები საავადმყოფოში წავიდნენ და მალე გაარკვიეს, რომ როცა ბიჭები მიიყვნეს, საბუთი მხოლოდ ერთს ედო ჯიბეში, მერე ექთანს აერია, რომლის საბუთი იყო და ალალ-ბედზე გადაწყვიტა, რომელი გადარჩა. ვერ გაარტყა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, სიმართლე არც თავად იცოდა და იმის იმედი ჰქონდა, რომ დამწვარი ბიჭი ან ვერ გადარჩებოდა, ან ისე უბრალოდ გაუმართლებდა. მედდა ტიროდა, ვერ გავამხილე, ან როგორ უნდა გაგვერკვია, ვინ ვინ იყო, სახე არცერთს უჩანდა, სამსახურის დაკარგვის შემეშინდაო, თუმცა, ეს მკვლელობის გახსნის გასაღები ნამდვილად არ იყო და არც მედდა გახლდათ ის პირი, რომელიც საბუთის შეცვლის გამო (რომელიც ბოლომდე არც იცოდა), ვინმე მოეკლა. გარდაცვლილების არევაზე დაწყებული სკანდალი მალე მიწყნარდებოდა, მაგრამ ეს სამართალდამცავებისთვის შვება არ იყო – საქმე გაუხსნელი რჩებოდა, ამისთვის კი მათ თავზე ხელს არავინ გადაუსვამდა, თუმცა...

„ვიფიქრე, თავი მომეკლა, მაგრამ მივხვდი, რომ ეს ძალიან მსუბუქი სასჯელი იქნებოდა. მე დიდხანს უნდა ვიცოცხლო, დიდხანს უნდა დავიტანჯო. როცა გავიგე, რომ ჩემი შვილი მოკვდა, მისი ბიძაშვილი კი გადარჩა, ძალიან გავბრაზდი. ჩავთვალე, რომ ეს უსამართლობა იყო და ვფიქრობდი, როგორ მეძია შური. თან ექიმებს ველოდებოდი, რას იტყოდნენ და ბოლოს, როცა თქვეს, რომ ბიჭი უეჭველი გადარჩებოდა, მისი მოკვლა განვიზრახე. ის იყო მთავარი დამნაშავე ჩემი შვილის სიკვდილში, რადგან სწორედ მან აიძულა დაბადების დღეზე წასვლა, ჩემს შვილს არ უნდოდა და მერე მოხდა ის, რაც მოხდა. საბოლოოდ კი, გავიგე, რომ საკუთარი შვილი მოვკალი. ამიტომ ვამბობ, დიდხანს უნდა ვიცოცხლო, რომ ბოლომდე დავიტანჯო, არ აქვს მნიშვნელობა, სასამართლო რას მომისჯის, ჩემი სასჯელი მიღებული მაქვს“, – განყოფილებაში ამ აღიარებით, პირველად გარდაცვლილი ბიჭის დედა მივიდა.

სასამართლომ მკვლელს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ ქალის სურვილი არ ახდა – მან დიდხანს ვერ იცოცხლა, ციხეში ყოფნის მეოთხე თვეს, გულის შეტევით გარდაიცვალა.

მოწამვლის უცნაური სერია თბილისში

რა შარში გაეხვა ქართველი ასაკოვანი გამომძიებელი

ბათო ჯაფარიძე

საბჭოთა კავშირის დროსმ მეცნიერებას უდიდესი ყურადღება ექცეოდა. განსაკუთრებით, გამოგონების სფეროს ჰქონდა უპირატესობა, რადგან საბჭოთა ბელადები ფიქრობდნენ, რომ მსოფლიოში ყველაფერში მოწინავეები უნდა ყოფილიყვნენ, მათ შორის, გამოგონებაშიც. წ;ლის განმავლობაში, სწორედ ამიტომ იმართებოდა რამდენიმე გამოფენა, სადაც ნორჩი თუ ასაკოვანი გამომგონებლები საკუთარ მოდელებს წარადგენდნენ ხოლმე და არცთუ იშვიათად, რიგითი ადამიანის გამოგონებას პატენტს ანიჭებდნენ, ქსელში უშვებდნენ, გამომგონებელს კი... 3-დან 5 ათას მანეთამდე აძლევდნენ, რაც მაშინ თითქოს დიდი ფული იყო, ამ გადმოსახედიდან კი, საერთოდ არაფერი. ამის მიუხედავად, საბჭოთა ადამიანები შრომობდნენ, იგონებდნენ, გამოფენებზე დადიოდნენ და სჯეროდათ, რომ ყველაფერ ამას, დიდი ქვეყნის საკეთილდღეოდ აკეთებდნენ. რეალურად კი, ყველა გამოგონება, საბოლოოდ, საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთს დარჩა, დანარჩენ რესპუბლიკებს კი – არაფერი.

სწორედ მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის თხუთმეტივე რესპუბლიკაში გამოგონებების ბუმი იყო და გამოფენებში ყველა მონაწილეობდა (სკოლის მოსწავლეებიდან დაწყებული, პენსიონერებით დასრულებული), დელეგაცია საქართველოდანაც გაემგზავრა. ნამდვილად ვერ გეტყვით, რამდენად წარმატებული იყო ეს დელეგაცია, რადგან ადგილობრივ ხელისუფლებას ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ ერთ-ერთი მინისტრი მოიწამლა და ექიმები მისი გადარჩენისთვის იბრძოდნენ.

ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ექიმებმა არ იცოდნენ მიზეზი, ვერ სვამდნენ დიაგნოზს და ვერ ამბობდნენ, რით იყო მოწამლული მინისტრი. მათი მტკიცებით, ნაწლავები სერიოზულად იყო დაზიანებული, თითქოს მინისტრი ვიღაცამ მუცლის არეში სასტიკად სცემა, რაც გამორიცხული იყო – მუცლის გარედან, კანზე, დაზიანების კვალი არ იყო. სისხლში არ აღმოჩნდა ისეთი რამ, რაზეც შეიძლებოდა ეჭვი მიეტანათ ანუ სისხლში საწამლავის კვალი არ იყო და როგორც მაშინ ხდებოდა ხოლმე, მოსკოვი თბილისს არ ენდო და სისხლის ანალიზის ნიმუშები საბჭოთა დედაქალაქშიც გაიგზავნა. პასუხი რუსმა ექიმებმაც ქართველების ანალოგიური დადეს – სისხლი სუფთაა. რუსეთიდან სისხლის ანალიზის პასუხს უშიშროების თანამშრომლებიც ჩამოჰყვნენ. გაჩნდა ეჭვი, რომ მინისტრი აქამდე უცნობი შხამით მოწამლეს და დიდი შანსი იყო, საქმეში უცხოური სპეცსამსახურებიც ყოფილიყვნენ ჩარეულნი, თუმცა ერთი სერიოზული პრობლემაც იყო – ბოლო სამი თვის განმავლობაში, ქართველი მინისტრი ექვს მოძმე რესპუბლიკაში იმყოფებოდა, სადაც ადგილობრივ კოლეგებსა და უცხოელ პარტნიორებს შეხვდა. მართალია, ის უცხოელები, ძირითადად, სოციალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ მაინც. აუცილებელი იყო ყველას შემოწმება, იმის მოძება, სად რა შეიჭამა, სად რა დაილია და ხომ არ იყო ისეთი შეხვედრა, სადაც, მაგალითად, სწორედ იმ სოციალისტური სახელმწიფოებიდან ჩამოტანილი პროდუქტით გაუმასპინძლდნენ საბჭოთა დელეგაციას. გარდა იმისა, რომ ყველაფერი ეს, დროში გაიწელებოდა, რეალურად, უზარმაზარი და ერთი შეხედვით, წარმოუდგენელი სამუშაო იყო ჩასატარებელი, მაგრამ საბჭოთა „კა გე ბე“ ხომ იმითაც იყო ცნობილი, რომ მისთვის წარმოუდგენელი არაფერი გახლდათ.

უშიშროება საქმეს შეუდგა, პარალელურად, არც თბილისელი სამართალდამცავები იყვნენ უქმად და ყველა სამუშაო, რომელიც მოსკოვში მიდიოდა, შეჩერდა, რადგან იგივე სიმპტომებით, საავადმყოფოში მინისტრის მეუღლეც მიიყვანეს. გამოდიოდა, კვალი სწორედ საქართველოში უნდა ეძებნათ და არა – რუსეთში. მინისტრი აზრზე იყო და მისი ნებართვით, სახლში არაოფიციალური ჩხრეკა ჩატარდა. იქ იყვნენ უშიშროების თანამშრომლები, შსს-ს გამომძიებლები, ექსპერტ-კრიმინალისტები, მუშაკები ლაბორატორიიდან და ეძებდნენ ყველაფერს, რისი მოძებნაც კი შეიძლებოდა და რაც კი შეიძლებოდა, საეჭვო ყოფილიყო. ყველა საკვების, ჰაერის, კედლის ანაფხეკის, იატაკზე საღებავის ნიმუში ლაბორატორიაში წაიღეს და ყველა ელოდა, რომ რამეს მიაგნებდნენ, მაგრამ შედეგი ნული იყო – აბსოლუტურად ყველაფერი ნორმის ფარგლებში გახლდათ. ერთადერთი, რაც ყველას ახარებდა, ის იყო, რომ მინისტრის ჯანმრთელობა არათუ დღითი-დღე, არამედ, ლამის საათობრივად უმჯობესდებოდა. რაც მთავარია, ამის მიზეზს ვერავინ ხვდებოდა, რადგან ექიმები რამე განსაკუთრებულს არ აკეთებდნენ, სპეციალურ მედიკამენტებს არ იყენებდნენ. იგივე მოხდა მის მეუღლესთან დაკავშირებითაც და ყველაფერმა ამან, როგორც ექიმები, ისე სამართალდამცავები უფრო ჩააფიქრა.

მალე, მინისტრიცა და მისი ცოლიც შინ გაწერეს და ორივემ ჩვეულებრივად გააგრძელა ცხოვრება, თუმცა განგაშის ზარებს მალე ისევ შემოჰკრეს – იმავე კორპუსში, სადაც მინისტრი ცხოვრობდა, იმავე სიმპტომებით, ცუდად კიდევ ერთი ოჯახის სამი წევრი გახდა. მათი გამოჯანმრთელებაც მარტივად მოხერხდა, მაგრამ ეს ძალოვნებისთვის უკვე ნამდვილი გამოწვევა იყო. ცხადი გახდა, რაღაც სწორედ იმ კორპუსში ხდებოდა და ამიტომ, ის რაღაც აუცილებლად უნდა ეპოვათ. გადაწყდა, რომ არა მარტო კონკრეტული ბინის, არამედ, მთელი კორპუსის ჩხრეკა ჩატარებულიყო და ეს იყო, პრაქტიკულად, სპეცოპერაცია. ერთ დღეს, კორპუსს სამხედრო ნაწილებმა შემოარტყეს ალყა, ყველას აუხსნეს, რომ ეძებდნენ რაღაცას, რაც ადამიანების მოწამვლას იწვევდა და ამიტომ, ყველას ბინაში უნდა შესულიყვნენ, უნდა ენახათ სარდაფები, სხვენი, მოკლედ, ყველაფერი, რისი ნახვაც შეიძლებოდა. ჩხრეკაში შინაგან საქმეთა სამინისტროს 200-მდე თანამშრომელი, უშიშროების სამსახურის 50 წარმომადგენელი და ექსპერტ-კრიმინალისტები მონაწილეობდნენ. ერთადერთი, რაც იპოვეს და საინტერესოდ მოეჩვენათ, სხვენში, თითქოს უპატრონოდ მიგდებული ვერცხლისწყალი იყო, რომელიც 3-ლიტრიან ქილაში იყო ჩასხმული. ამ ოდენობის ვერცხლისწყალი ქიმიური საწარმოებისთვისაც კი ძალიან ბევრი იყო და დაიწყეს იმის ძიება, ვისი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს მომწამვლელი ნივთიერება, თუმცა ქილაზე თითის ანაბეჭდები ვერ იპოვეს. ამ ოდენობის ვერცხლისწყალს დიდი გამოსხივება აქვს, რადიაციის დონესაც კი ზრდის, მაგრამ ექიმები დარწმუნებით ამბობდნენ, რომ ეს არ იყო მიზეზი იმისა, თითქოს, კორპუსის მაცხოვრებლებს ასეთი სიმპტომები ჰქონოდათ. მათი აზრით, კორპუსის მაცხოვრებლები იღებდნენ რაღაცას (წყალს, საკვებს), რაც ორგანოებს შიგნიდან აზიანებდა, გარედან კი არაფერი ჩანდა.

ვერცხლისწყლის ამოღების შემდეგ, თითქოს ყველაფერი დამშვიდდა და არც სხვა მოსახლეების ჩივილები იყო, მაგრამ... ცუდად ისევ მინისტრი გახდა და იგივე სიმპტომებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. უშიშროების სამსახურმა გადაწყვიტა – მინისტრის მეუღლე და ის მეზობლები, რომლებიც ცუდად გახდნენ, მკაცრად და დეტალურად დაეკითხათ, რათა გაეგოთ, ჰქონდათ თუ არა საერთო მოხმარების საკვები, ან სითხე. ხომ შეიძლებოდა, რომ ისინი, უბრალოდ, ვინმესგან ყიდულობდნენ, მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქტს (ასეთი რამ ადრე ხდებოდა), ან ერთსა და იმავე მაღაზიიდან, ერთსა და იმავე საკვებს იღებდნენ მუდმივად. დაკითხვაზე ორივე მხარე მხრებს იჩეჩდა, თითქოს გადაკვეთის წერტილი არ ჰქონდათ, ცხოვრობდნენ ჩვეულებრივად, არც საკვების მიმართულებით ემთხვეოდა რამე ისეთი, ძალოვნებს ეჭვი რომ მიეტანათ.

„ალბათ, ერთადერთი, რაც გვაერთიანებს, წყლის ფილტრია. მეზობელი გვყავს გამომგონებელი, ათას რამეს იგონებს და მათ შორის, წყლის ფილტრიც გამოიგონა. ყველას არწმუნებდა, სახლში რომ ქლორიანი წყალი მოდის, მაგ ქლორს წმენდს და სუფთა წყალი თუ გინდათ, ჩემი ფილტრი დააყენეთო. ჰოდა, ჩვენ დავაყენეთ, მერე მინისტრმაც დააყენა და ძალიან კმაყოფილები ვართ. წყალი მართლაც საოცრად რბილია, ფილტრში კი უამრავი ნაგავი გროვდება და მას ლამის სამ დღეში ერთხელ ვწმენდთ“, – განაცხადა მეზობელმა. ერთ საათში, ორივე ფილტრი ექსპერტიზაზე იყო და გამოძიება შედეგს ელოდა.

თავად ფილტრში ექსპერტებმა მავნე მეტალები თუ დეტალები ვერ იპოვეს, თუმცა მისი მეშვეობით წყალი გაფილტრეს და აღმოჩნდა, რომ ფილტრი იმდენად ძლიერი იყო, წყალს აბსოლუტურად ყველა მინერალს აცლიდა და იმაზე მეტად ფიტავდა, ვიდრე გამოხდილი წყალი იყო. ასეთი წყლის ხანგრძლივი მიღება ორგანიზმს არა მარტო მინერალების გარეშე ტოვებდა, არამედ, კუჭ-ნაწლავსაც აზიანებდა და მუდმივად მისი მიღება, უეჭველად, ფატალურ შედეგს გამოიღებდა. ამჯერად, გამომგონებელი დააკავეს.

„რა უნდა ვთქვა? ონკანს ქვიშა მოჰყვება, ხანდახან კი ისეთი ქლორიანია, დალევა არ შეიძლება. ამიტომ, ფილტრი გამოვიგონე, მერე რამდენიმე მეზობელს ვუთხარი, გაჩუქებთ-მეთქი და არ მოინდომეს, მხოლოდ ორმა ოჯახმა დააყენა და ძალიან კმაყოფილები იყვნენ. ვერ ვხვდები, ჩემს ფილტრს როგორ უნდა დაეზიანებინა მათი ჯანმრთელობა? მე რატომ არ გავხდი ცუდად?“ – ამბობდა გამომგონებელი და ექიმებმა ისიც შეამოწმეს. როგორც აღმოჩნდა, ასაკის გამო, გამომგონებელი წყალზე მეტად, კომპოტს სვამდა და სავარაუდოდ, სწორედ კომპოტმა შეუნარჩუნა ჯანმრთელობა.

რა თქმა უნდა, ციხეში არავინ გაუშვიათ, მაგრამ ფილტრის ნახაზები და დეტალები რუსეთში, უშიშროების კომიტეტმა სიხარულით წაიღო.

ბათო ჯაფარიძე

ქუჩაში ასი ქალი რომ გააჩეროთ და ჰკითხოთ, სჯერათ თუ არა მკითხავების, აბსოლუტური უმრავლესობა გეტყვით, რომ არა. ამის მიუხედავად, ამ ასი ქალიდან, ისევ აბსოლუტური უმრავლესობა, წინააღმდეგი არ იქნება, რომ ვინმეს, მაგალითად, ყავაზე ამკითხავებინოს. ამიტომაც არის, საქართველოში მკითხავ-მჩხიბავებს რიგი რომ უდგათ და ყველაფრის მიუხედავად, პოპულარობით სარგებლობენ. საკმარისია, მკითხავ-მჩხიბავის ათი ვერსიიდან ერთი გამართლდეს (და არცთუ იშვიათად, არტყამენ კიდეც), სახელი უვარდება და კარგი დახლიც უდგას. არის თუ არა ეს კრიმინალი ანუ ხალხის მოტყუება და რეალურად, ამ მოტყუების გზით, ფულის გამოძალვა? არ არის, რადგან მკითხავთან ძალით არავინ მიჰყავთ და ფულსაც ნებით იხდიან. აი, თუ მკითხავი „მსხვერპლს“ დაჰპირდა, რომ დიდი ფულის გადახდის შემდეგ, რამე ნატვრა აუხდება და ასე არ მოხდება, მსხვერპლი კი სასამართლოში წავა, შემდეგ შესაძლოა, ყველაფერი გართულდეს.

როგორ დაგეგმა ახალგაზრდა ქალმა დაქალების მკვლელობა

კრიმინალი, რომელშიც მკითხავი მამაკაცი ფიგურირებს

დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოს რეგიონის ერთ-ერთ რაიონში, დაახლოებით, 35 წლის მამაკაცს გაუვარდა კარგი მკითხავის სახელი. მას მეხი დაეცა, გადარჩა და როგორც თავად თქვა, მკითხაობის ნიჭიც სწორედ ამის შემდეგ შეიძინა. თავიდან ყველა არ ენდობოდა, მაგრამ შემდეგ, ისეთი სახელი გაუვარდა, მასთან რამდენიმე კვირით ადრე ეწერებოდნენ, ღამეებს ათენებდნენ და ირგვლივ ყველა ბედნიერი იყო – მეზობლებიც, რომლებმაც მცირე დახლები მოაწყვეს, ზოგმა საოჯახო სასტუმროც გააკეთა, მაგრამ მონასტერი მას შემდეგ აირია, რაც იმავე მუნიციპალიტეტში გარდაცვლილი გოგონა იპოვეს და მისი სახელი მკითხავს დაუკავშირეს. რამდენიმე ადამიანი ამტკიცებდა, რომ გვიან ღამით, იმ გოგონას სახლიდან, სწორედ მკითხავი გამოვიდა, დილით კი გოგონა გარდაცვლილი მეზობლებმა ნახეს (მშობლები თბილისში იყვნენ წასულნი). რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა მკითხავი დააკავეს, მაგრამ მან მკვლელობა უარყო.

„მე ფულის გაწმენდის რიტუალი ჩავატარე. მივედი, დაახლოებით, ნახევარ საათს მოვუნდი რიტუალს და წამოვედი. ყველაფერ ამაში, 300 ლარი ავიღე და მეტი არაფერი ვიცი. როცა მე გამოვედი, ის გოგო ცოცხალი იყო“, – განაცხადა მან.

არადა, ექსპერტიზის დასკვნით, გოგონამ ღვინო დალია, რომელშიც დიდი დოზით ნარკოტიკული ნივთიერება იყო გარეული და სწორედ ამით გარდაიცვალა. არადა, მეზობლები, მეგობრები და ნათესავები ამბობდნენ, რომ მას ნარკოტიკებთან შეხება არ ჰქონია და რაც მთავარია, მკითხავი ირწმუნებოდა, ღვინის ბოთლი იქ არ მინახავს, ალბათ, მერე მიიტანა ვინმემო. ოჯახში ღვინო ნახეს, მაგრამ ექსპერტიზის დასკვნით, ის, რაც გარდაცვლილმა მიიღო, სხვა შემადგენლობის იყო.

„თქვენ, შეიძლება, მკითხავის არ გჯერათ, მაგრამ ის საოცარი ადამიანია. იცით, მე როგორ ვიპოვე? ქუჩაში მივდიოდი, მან კი გამაჩერა, თავზე ხელი დამადო და მკითხა, ფეხის ნეკა თითი თითქოს გაქვს და არც გაქვს, ვხედავ, მოგაჭრეს და მერე ისევ მიგაკერესო. არადა, ბავშვობაში, ნაჯახი ჩავირტყი ფეხში, ნეკა თითი მართლაც მოვიჭერი, თუმცა ექიმებმა სასწაული შეძლეს, ისევ მიმაკერეს, მაგრამ გრძნობა არ მაქვს. ეს ამბავი ძალიან ცოტამ იცის, მან კი დაინახა და ახლა, თქვენ გინდათ თქვათ, რომ ის მატყუარაა? ამას ვერასდროს დავიჯერებ“, – განაცხადა გარდაცვლილი გოგონას ერთ-ერთმა მეგობარმა და მანვე თქვა, რომ „სასწაული“ მხოლოდ მას არ შეემთხვა, სამეგობროში, სხვებსაც აქვთ მოსაყოლიო.

მართლაც, გარდაცვლილი გოგონას დაქალებმა საოცარი ისტორიების მოყოლა დაიწყეს, რომელსაც მკითხავი სასწაულებრივად ხვდებოდა და გოგონებს პირღია ტოვებდა. ისინი ამბობდნენ, რომ ეს ადამიანი, მართლაც, ღვთით მოვლენილი იყო და მისი ბრმად სჯეროდათ.

„ჩვენი თანაკურსელი, რომელიც ახლა აქ არის, მკითხავს თბილისში შეხვდა. მასთან ბებია მიიყვანა, რომელსაც ექიმებმა უთხრეს, რომ ეტლიდან ვერასდროს ადგებოდა. მკითხავმა კი მის მიერ დამზადებული ნაყენი დაალევინა და ბებია ახლა არა მარტო დადის, არამედ, ბოსტანშიც მუშაობს“, – ესეც ერთ-ერთი დაქალის მონაყოლია. ის თბილისელი გოგონა ახლა სამეგრელოში იყო და სხვებთან ერთად დასტიროდა დაქალს.

რაც შეეხება ფულის გაწმენდის რიტუალს, თურმე, თუ უზარმაზარ თანხას მაგიდაზე დაალაგებდით და მკითხავი რაღაც ლოცვებს წაიკითხავდა, მერე რაღაც ფხვნილს მოაყრიდა, მერე რაღაცას დამატებით იბუტბუტებდა, ის ფული, რაც მაგიდაზე იდო, უახლოეს წელიწადში, გაორმაგდებოდა. ამიტომაც, ადამიანები, რომლებსაც ფულის გაბევრება სურდათ, ცდილობდნენ, რაც შეიძლება, ბევრი თანხა ყოფილიყო მაგიდაზე. გოგონას მშობლები ამბობდნენ, რომ სახლში, დაახლოებით, 13 ათას ლარს ინახავდნენ და ის ფული გაქრა. ასე გავიდა რამდენიმე დღე და სამართალდამცავებს ახალი ეჭვმიტანილი არ ჰყავდათ. გოგონა ითხოვდნენ და ამ დროს, მორიგი მკვლელობა მოხდა – იგივე ხელწერით, ისევ ახალგაზრდა გოგო და იგივე სამეგობრო წრიდან.

ამჯერად, მკითხავი თავის ფეხით გამოცხადდა განყოფილებაში და პირდაპირ თქვა, რომ იმ გოგოსაც ფულის გაწმენდის რიტუალი გაუკეთა, საკუთარი გასამრჯელო აიღო და წამოვიდა. მკვლელობები გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს და იმის მიუხედავად, რომ ამჯერად მკითხავ-მჩხიბავი არავის დაუნახავს და ის თავისით აღიარებდა გოგონასთან სტუმრობას, ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ საქმეში მისი მონაწილეობა უნდა გამორიცხულიყო. პირიქით, მკითხავები, საბოლოო ჯამში, არცთუ ცუდ ფსიქოლოგებად ყალიბდებიან და ეგებ, მან სწორედ იმაზე გააკეთა გათვლა, რომ აღიარების შემთხვევაში, მასზე ეჭვი მოიხსნებოდა. ამიტომ, მკითხავის ალიბის გადამოწმება დაიწყეს, მაგრამ ესეც უშედეგოდ. მოსახლეობა კი უკვე ხმამაღლა ითხოვდა სამართალდამცავებისგან მოქმედებას, მაგრამ ისინი ხელებს უმწეოდ შლიდნენ.

სამაგიეროდ, ძალოვნები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ვიღაცამ ზუსტად იცოდა, რა დროს ატარებდა მკითხავი ფულის გაწმენდის რიტუალს და რაც მთავარია, ორივე შემთხვევაში, ის სახლში უპრობლემოდ შეუშვეს ანუ ორივე შემთხვევაში, მკვლელი მსხვერპლს იცნობდა და ისინი მას ენდობოდნენ. გადაწყდა, მკვლელი გოგონების გარემოცვაში ანუ სადაქალოში უნდა ეძებნათ და ყველა მათგანის წარსულის შესწავლა დაიწყეს. თითქოს, საინტერესო ვერაფერი ნახეს, მაგრამ მალე გაირკვა, რომ გოგონების თბილისელი მეგობარი, რომლის ბებიაც მკითხავმა განკურნა... ბავშვთა სახლში იყო გაზრდილი და ბებია ვერ ეყოლებოდა. მთავარი ეჭვმიტანილიც სწორედ ის გახდა, მაგრამ ჯერ ისევ მკითხავის დაკითხვა იყო საჭირო, რადგან ისიც სიამოვნებით ჰყვებოდა ისტორიას, როგორ განკურნა იმ გოგონას ბებია, რაც აშკარად სიმართლე არ იყო.

„ყველაფერს გეტყვით. იმ გოგომ თავად მიპოვა, ბებიის ლეგენდაც თავად მოიფიქრა და მითხრა, ბევრ კლიენტს მოგიყვან, შენ კი წილში ჩამსვიო. დავთანხმდი და მართლაც ბევრი გოგო მომიყვანა, თანაც ყველა ჩემი რაიონიდან, აქ სახელი გამივარდა, მერე თვითონაც ჩამოვიდა, ამათი დაქალი ყოფილა. მე რა მენაღვლებოდა, თვითონ არ ინდობდა დაქალებს, მათ ისტორიებს მიყვებოდა და მეც ვითომ ვმკითხაობდი, რაიონში ჰყვებოდნენ ჩემს მიერ ჩადენილ სასწაულებზე. მერწმუნეთ, მკვლელობასთან კავშირი არ მაქვს და არ მგონია, იმას მოეკლა, გოგოა და ვერ გაბედავდა, მკვლელობას სხვა გული უნდა“, – ტირილით ჰყვებოდა მკითხავი.

სამართალდამცავებმა მას შესაბამისი დარიგება მისცეს, როგორ უნდა მოქცეულიყო და შინ გაუშვეს, შემდეგ კი ერთ-ერთი დაქალი დაიბარეს და მასაც მისცეს შესაბამისი ინსტრუქცია. ორ დღეში, მკითხავი მორიგ რიტუალზე წავიდა – ფული უნდა განეწმინდა. თავის საქმე გააკეთა და შინ გაბრუნდა, გოგონას კი მისმა თბილისელმა დაქალმა დაუკაკუნა. მან კარი მხიარულად გააღო, შინ შეიპატიჟა და არ გაჰკვირვებია, როცა დაქალმა ჩანთიდან ერთი ბოთლი ღვინო ამოაძვრინა, დავლიოთო. მასპინძელმა ჭიქები მოიტანა, ჩამოასხეს და ის იყო, უნდა დაელია, როცა მეორე ოთახიდან სამართალდამცავები გამოვიდნენ. სტუმარი ამას არ ელოდა და ელდისგან ადგილიდან ვერ გაინძრა, შესაბამისად, ბორკილებიც მარტივად დაადეს.

„ჰო, ბავშვთა სახლში გავიზარდე, ჰო, ჩემი დაქალების მშურდა... მშობლები, დედ-მამიშვილები, გარანტირებული მომავალი. მე კი, ყველაფრისთვის ჩემით უნდა მიმეღწია, ჩემით უნდა მეომა და გვერდში არავინ მყავდა. სამადლოდ მეპატიჟებოდნენ სოფელში, თორემ წასასვლელიც არსად მქონდა, საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი და ეგენი თუ ნამდვილი დაქალები იყვნენ, რატომ არ მითხრა ერთმა მაინც, ჩემს ბინაში გადმოდი, საერთო საცხოვრებელში რა გინდაო? იმ მკითხავზე შემთხვევით გავიგე, ერთხელ ახსენეს საუბარში აგდებულად და მერე გეგმა მოვიფიქრე. ეს ბოთეც მარტივად დამთანხმდა და მესამე საქმეც რომ შემრჩენოდა, გავქრებოდი, საქართველოდანაც წავიდოდი და ჩემს ცხოვრებას მოვაწყობდი. არ გამოვიდა და როგორც ბავშვთა სახლის აღზრდილების უმრავლესობა, მეც ციხეში მომიწევს წასვლა“, – თქვა გოგონამ დაკითხვაზე, მაგრამ აშკარად გადაამლაშა – ბავშვთა სახლის აღზრდილებს სახელმწიფო მაშინ დიდ ყურადღებას აქცევდა, უმაღლესის „ბაგაჟი“ თუ ჰქონდა ვინმეს, არ უკარგავდნენ, თუ არა – პროფტექნიკურ სასწავლებელში, რამე პროფესიის ათვისებაში ეხმარებოდნენ, ბინებსაც არ უგვიანებდნენ... ასე იყო მაშინ და თუ ვინმე, უბრალოდ, დიდი ფულის შოვნას არაკანონიერი გზით დააპირებდა, ციხეს ვერ ასცდებოდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის წარმომადგენლებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „რეფორმების ხელშეწყობა საქართველოს იუსტიციის სექტორში (ტექნიკური მხარდაჭერა)“ ფარგლებში, ევროკავშირის წარმომადგენლებსა და დარგის ექსპერტებთან შეხვედრა გამართა, რომელსაც ესწრებოდნენ იუსტიციის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ერთობლივი სამომავლო გეგმები განიხილეს და პროექტის მიზნებს გაეცნენ. ალექსანდრე დარახველიძემ ექსპერტებს ბოლო წლების მანძილზე შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული რეფორმები გააცნო და ამ მიმართულებით, ევროკავშირის მხარდაჭერის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

პროექტი მიმდინარე წლის ოქტომბრიდან დაიწყება და მიზნად ისახავს საქართველოს მართლმსაჯულების სექტორში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერას ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგის შესაბამისად.

აღნიშნული პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, იუსტიციის სამინისტროსთან და გენერალურ პროკურატურასთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდება.

პროექტი ითვალისწინებს სისხლის სამართლის სექტორში უწყებათშორისი კოორდინაციის, დანაშაულთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მექანიზმების გაუმჯობესებას, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის სრულფასოვნად დანერგვას, ასევე, მოწყვლადი ჯგუფების მიმართ დანაშაულის, გენდერული დანაშაულისა და ოჯახში ძალადობის პრევენციას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის ავტოსაგზაო შემთხვევის გამოძიების საკითხებზე ტრენინგების ციკლი ჩატარდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, შსს აკადემიის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის, საინფორმაციო-ანალიტიკური და საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტების წარმომადგენლებმა ავტოსაგზაო შემთხვევის გამოძიების საკითხებზე სასწავლო კურსი გაიარეს.

სწავლებები ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მხარდაჭერით განხორციელდა, რომელსაც ილინოისის შტატის პოლიციის ინსტრუქტორები უძღვებოდნენ. კურსი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: შემთხვევის ადგილის კვლევა, შემთხვევის ფოტოგრაფირება, მიმალვის შემთხვევების გამოძიება და სხვ.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიურო (INL) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან უკვე მრავალი წელია თანამშრომლობს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, კიბერდანაშაულის, ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგის, ტაქტიკური მომზადების, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები საერთაშორისო სწავლებაში – „ETERNITY 2023“ მონაწილეობდნენ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები, აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამეთაურო-საშტაბო სწავლება – „ETERNITY 2023“ – ში მონაწილეობდნენ.

სწავლება აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ჩატარდა და მისი მიზანი იყო საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის სამართალდამცავი უწყებებისა და შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობებს შორის ურთიერთთავსებადობის ამაღლება.

სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ სწავლების, როგორც კომპიუტერულ, ასევე, საველე კომპონენტში.

ღონისძიებაში, თურქ და აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად, ჩართულები იყვნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედროები.

აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამმხრივი სწავლება სამივე ქვეყანაში რიგ-რიგობით, როტაციის პრინციპით, ყოველწლიურად ტარდება.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაში მონაწილეობდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე მონაწილეობდა გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის, ან სასჯელის პრევენციის ქვეკომიტეტის (SPT) წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაში, რომლებიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში იმყოფებიან. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ პირებთან ერთად, შეხვედრას ესწრებოდნენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, გენერალური პროკურატურის, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, მთავრობის ადმინისტრაციისა და უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლები.

შეხვედრაზე ალექსანდრე დარახველიძემ, კომიტეტის წარმომადგენლებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა სამინისტროს სისტემაში მოქმედი დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და საქართველოში უკანონოდ მყოფ პირთა დროებითი განთავსების ცენტრის შესახებ. ქვეკომიტეტის წარმომადგენლები გაეცნენ ბოლო წლების მანძილზე განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებს, რომელთა მიზანია საზოგადოების თითოეული წევრის უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო დაცვის უზრუნველყოფა. ალექსანდრე დარახველიძემ უპასუხა ქვეკომიტეტის წარმომადგენელთა შეკითხვებს.

აღსანიშნავია, რომ ქვეკომიტეტის ვიზიტი საქართველოში პირველად ხორციელდება, რომელიც ითვალისწინებს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის, ან სასჯელისგან თავისუფლებააღკვეთილ პირთა დაცვის გაძლიერებას.

ვიზიტის საფუძველზე, ქვეკომიტეტი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და მოამზადებს შესაბამის ანგარიშს.

ქვემო ქართლის პოლიციამ ქორწინების იძულებისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მოკლული 14 წლის გოგონას ბიძა – 1980 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.მ., ოჯახის არასრულწლოვანი წევრის ქორწინების იძულებისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

დანაშაული 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, 2009 წელს დაბადებული ა.შ., გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, მისი ნების საწინააღმდეგოდ, აიძულა ცოლად გაჰყოლოდა 1996 წელს დაბადებულ ა.ს.-ს. აღნიშნულის შემდეგ, ა.ს.-მ არასრულწლოვან გოგონას, ცოლად შერთვის მიზნით, თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტში წაიყვანა.

გამოძიებით, ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულისთვის ცნობილი იყო ა.ს.-ს მხრიდან ა.შ.-ს მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ, თუმცა მან ამის შესახებ სამართალდამცველებს არ შეატყობინა.

გოგონას წინააღმდეგობის მიუხედავად, ბრალდებული არასრულწლოვანს, ფსიქოლოგიური ძალადობის გამოყენებით, კვლავ აიძულებდა ა.ს.-სთან იძულებით ქორწინებაში დარჩენას.

მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს, ა.ს.-მ ა.შ.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ა.ს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე, 143-ე და 236-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის ბრალდებით დააკავეს.

ოჯახის არასრულწლოვანი წევრის ქორწინების იძულებისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე კი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 150-ე პრიმა და სსკ-ის 376-ე მუხლებით მიმდინარეობს.

ორი მატჩი და საოცარი სტატისტიკა – საქართველოს ბარაქიანი ოქტომბერი

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 12 და 15 ოქტომბერს, ორი შეხვედრა გამართა. ჯერ ტაილანდს ვუმასპინძლეთ ამხანაგურად, 15-ში კი, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, თემურ ქეცბაიას გაწვრთნილ კვიპროსს შევხვდით. ჯერ ტაილანდზე ვთქვათ.

ამ გუნდს ისტორიაში პირველად შევხვდით და ეს მატჩი უფრო ვარჯიში იყო, კვიპროსელებთან შეხვედრამდე. ტაილანდელებთან დავამყარეთ რამდენიმე რეკორდი – მოვიგეთ ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით (8:0), ისტორიაში საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა ერთ შეხვედრაში პირველად გაიტანა 4 გოლი (გიორგი მიქაუტაძე). ტაილანდელებმა ვერაფრის გაკეთება ვერ მოახერხეს და შინ კუდამოძუებულები გავაბრუნეთ.

რაც შეეხება ოფიციალურ შეხვედრას. კვიპროსთან მატჩი გარდამავალი უპირატესობით დავიწყეთ და იმის მიუხედავად, რომ პირველ ნახევარში გოლის გატანა შეგვეძლო, უფრო რეალური მომენტი სტუმრებს ჰქონდათ. მეორე ტაიმში, პირველივე წუთზე მოვახერხეთ გოლის გატანა, რამაც მეტოქე აშკარად გატეხა და ათ წუთში მეორე გოლიც მივაყოლეთ, მერე მესამეც და მატჩის ბედიც გადაწყდა. მატჩის ბოლოს პენალტის ნიშნულიდან გიორგი მიქაუტაძემაც შეაგდო და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ახლა ოფიციალურად შეგვიძლია იმის თქმა, რომ ამ შესარჩევში ბოლო ადგილზე არ გავლათ და თუ დარჩენილ ორ შეხვედრასაც მოვიგებთ, ეგებ, მესამე ადგილზეც გადავიდეთ.

ჩვენი მთავარი მიზანი კი, ერთა ლიგის პლეი-ოფებში გამარჯვება და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იქიდან მოხვედრაა. შესარჩევიდან ეს გამორიცხულია, აი, ერთა ლიგის პლეი-ოფში კი სიტუაცია შეიძლება ისე აეწყოს, ჩვენთან ერთად, საგზურისთვის მებრძოლი თურქეთი და საბერძნეთი ევროპაზე პირდაპირ შესარჩევიდან მოხვდნენ, მათ ნაცვლად კი, პლეი-ოფში ლუქსემბურგი და აზერბაიჯანი ამოვლენ. შესაბამისად, ჩვენი მეტოქე, ასეთ შემთხვევაში, ჯერ აზერბაიჯანი იქნება (რომელსაც ერთმატჩიან დუელში შინ ვეთამაშებით), საგზურისთვის კი ყაზახეთსა და ლუქსემბურგს შორის გამარჯვებულს, ისევ ერთმატჩიან დაპირისპირებაში შევხვდებით. ჰოდა, სწორედ ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ.

მამარდაშვილი მსოფლიოში მე-13 მეკარეა

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ევროპის ტოპ-5 ჩემპიონატში (იტალია, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი) 98 კლუბი თამაშობს და შესაბამისად, თითო კლუბს სასეზონო განაცხადში სამი მეკარე ჰყავს. ჰოდა, დანარჩენ მსოფლიოს ჩემპიონატებს რომ კთავი დავანებოთ, მხოლოდ ესეც გვეყოფა საამაყოდ. დღეს არსებული სატრანსფერო ფასების მიხედვით, „ვალენსიას“ ქართველი მეკარე გიორგი მამარდაშვილი მსოფლიოში მე-13 კიპერად ითვლება.

ქართველზე წინ ისეთი ცნობილი მეკარეები არიან, როგორებიც ჯანლუიჯი დონარუმა, ტიბო კურტუა, მაიკ მინანი, დავიდ რაია, აარონ რამსდეილი, მაიკ მენიო, დიეგო კოშტა, მარკ ანდრე ტერ შტეგენი ანდრე ონანა და სხვები არიან. გიორგის სატრანსფერო ფასი 30 მილიონი ევროა მაშინ, როცა ყველაზე ძვირადღირებული კიპერების ფასი, მაქსიმუმ 45 მილიონია. ჯერ კიდევ სეზონის სტარტზე, მამარდაშვილის ტრანსფერზე არაერთი ევროპული გამოცემა წერდა, თუმცა საბოლოო ჯამში, გიორგი კვლავ „ვალენსიას“ რიგებში დარჩა და ეს იმით ახსნეს, რომ მას ამ სეზონშიც დაა-კვირდებიან. ჯერჯერობით, მამარდა საკუთარ საქმეს თავს კარგად ართმევს და იმედი გვაქვს, სეზონის ბოლოს, მისი სატრანსფერო ფასიც გაიზრდება და ამბიციური კლუბების სურვილებიც.

ძალოსნობა, შესაძლოა, 2028 წლის ოლიმპიადაზე დააბრუნონ

2021 წელს, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ 2028 წელს გასამართ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში, ძალოსნობა აღარ იყოს. 2028 წელს, ოლიმპიადას ლოს ანჯელესი მასპინძლობს და სწორედ იქიდან იგეგმება ოლიმპიადიდან ძალოსნობის მოხსნა. არ გეგონოთ, მიზეზი სპორტის არასანახაობრივი მხარე იყოს. არა, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ვარაუდობენ, რომ ამ სახეობაში ანტისადოპინგო კონტროლი შესაბამის დონეზე არ არის და ამას ხელს თავად ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაცია უშლის.

„საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭო ლოს ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებში ძალოსნობის ჩართვის რეკომენდაციით გამოდის, თუმცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ყურადღებით დააკვირდება 2024 წელს პარიზში გასამართ ოლიმპიურ თამაშებს და შეამოწმებს ანტისადოპინგო პროგრამის ეფექტურობას. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ასევე ყურადღებით დააკვირდება ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მმართველობაში განსახორციელებელ ცვლილებებს“, – ნათქვამია განცხადებაში.

მოგეხსენებათ, ძალოსნობაში ჩვენ ჩვენი ინტერესები გვაქვს. დღეისთვის, მსოფლიოს უძლიერესი ძალოსანი ლაშა ტალახაძე გახლავთ, რომელიც მსოფლიოს შვიდგზის და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია და ოლიმპიური პროგრამიდან სპორტის ამ სახეობის ამოღება სასიხარულო ამბავი ნამდვილად არ გახლავთ.

მაისაშვილი საქართველოს ნაკრებიდან წავიდა

როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩავარდნის შემდეგ, ლევან მაისაშვილმა საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. ოთხწლიანი მუშაობის შემდეგ, ეს გადაწყვეტილება რაგბის კავშირმა მიიღო, თუმცა ახალი მწვრთნელის შერჩევამდე, მაისაშვილი მთავარი მწვრთნელის მოვალეობას შეასრულებს.

„მადლობას ვუხდით ლევანს იმისთვის, რაც მან ქართულ ირაგვისთვის გააკეთა. ის არის ჩენი ეროვნული ნაკრების ყველაზე წარმატებული მწვრთნელი. სწორედ მან შეძლო და მიიყვანა ჩვენი გუნდი უდიდეს ისტორიულ ეტაპებამდე, როგორიც იყო უელსთან და იტალიასთან გამარჯვება, ასევე რაგბი ევროპის ზედიზედ ოთხჯერ ჩემპიონობა“, – განაცხადა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ.

„მსოფლიოს ჩემპიონატზე წარუმატებლობის ანალიზის შედეგად, გადავწყვიტე, მთავარი მწვრთნელის პოზიციის დატოვება. გასული ოთხი წელი უმნიშვნელოვანესი იყო და მე ყოველთვის მადლიერი ვიქნები ჩემი გუნდის – მათი თავდაუზოგავი შრომისა და თავგანწირსვისთვის“, – ეს კი მაისაშვილის სიტყვებია.

უდიდესი ალბათობით, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს უცხოელ სპეციალისტს ჩააბარებენ.

კვარაცხელია 85 მილიონი ღირს

ფეხბურთელების ფასების დამდგენი ყველაზე პოპულარული ვებ-გვერდი „ტრანსფერმარკეტი“ ახალ მონაცემებს აქვეყნებს, საიდანაც ირკვევა, რომ იტალიის ჩემპიონატში ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელებს შორის, ხვიჩა კვარაცხელია მეოთხე ადგილზეა. ქართველი შემტევის ფასი 85 მილიონი ევროა. მასზე ძვირი ვიქტორ ოსიმენი (120 მილიონი ევრო), ლაუტარო მარტინესი (100 მილიონი) და რაფაელ ლეაო (90 მილიონი) ღირან, კვარას შემდეგ კი, ყველაზე მეტად ნიკოლო ბარელა (75 მილიონი) ფასობს.

ზოგადად, „ნაპოლის“ გულშემატკივრები შეეგუვნენ იმ აზრს, რომ მათი საყვარელი კლუბი წელს ჩემპიონობის შენარჩუნებისთვის ვერ იბრძოლებს, რადგან რუდი გარსიას აშკარად აკლია ის კვალიფიკაცია, რაც ტოპ-ჩემპიონატში პირველობისთვის არის საჭირო. აკი, თქვა კიდეც კლუბის პრეზიდენტმა, აურელიო დე ლაურენტისმა, მთავარი მიზანი ოთხეულში მოხვედრა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა. ჰოდა, მიმდინარე სეზონის ბოლოს, აუცილებელი იქნება საუბარი იმაზე, რომ კვარაცხელიამ გუნდი უნდა გამოიცვალოს და კარიერა უფრო ამბიციურ კლუბში გააგრძელოს. ამის შანსი წელსაც იყო, მაგრამ დე ლაურენტისმა ქართველში არარეალური თანხა მოითხოვა და ტრანსფერი არ შედგა.

ინძაგი სერია A-ს დაუბრუნდა

ლეგენდარული იტალიელი ფორვარდი, კახა კალაძის ყოფილი თანაგუნდელი, ფილიპო ინძაგი სერია A-ს დაუბრუნდა. სუპერ-პიპო „სალერნიტანას“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და მთავარი მიზანიც დაუსახეს – გუნდმა უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება უნდა მოახერხოს.

საინტერესო კი ის გახლავთ, რომ სერია A-ს გუნდს ფილიპოს ძმა, სიმონე ინძაგიც წვრთნის, თუმცა ძმისგან განსხვავებით, ის სათავეში ამბიციურ „ინტერს“ უდგას – კლუბს, რომელიც წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში ათამაშა, ახლა კი, იტალიის ჩემპიონატის მოგების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია.

რონალდუს 99 როზგი გამოუწერეს

არაბული „ალ ნასრის“ მთავარ ვარსკვლავს, კრიშტიანუ რონალდუს ირანში ჩასვლის შემთხვევაში, 99 როზგი ელოდება. ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც აზიის ჩემპიონთა ლიგის მატჩის სათამაშოდ, ირანში ჩასულმა პორტუგალიელმა, ცნობილი მხატვარი, ფატიმა ჰამამი მოინახულა. ფატიმამ რონალდუს მის მიერ შესრულებული პორტრეტი გადასცა, ფეხბურთელმა საკუთარი მაისური უსახსოვრა და თან, შშმ პირისთვის განკუთვნილ ეტლს მიჯაჭვულ ფატიმას გადაეხვია.

ირანული კანონის თანახმად, საჯაროდ და სახალხოდ, ფიზიკური კონტაქტი საპირისპირო სქესთან მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ წყვილი ოფიციალურ ქორწინებაში იმყოფება. რონალდუმ კი ეს წესი დაარღვია და ადგილობრივი კანონების მიხედვით, 99 როზგი ელოდება. ჰოდა, თუ ოდესმე, კრიშტიანუ ირანში კვლავ ჩავა, გაშოლტვა არ ასცდება

საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა პრეზიდენტზე – სრული ტექსტი

მე-3 გვერდიდან

ბამოსილებას არ ადგენს. სასამართლოს განმარტებით, საკუთრივ კონსტიტუციის მოთხოვნას წარმოადგენს რომ პრეზიდენტის ნებისმიერი უფლებამოსილება კონსტიტუციის ამა თუ იმ ნორმით იყოს პირდაპირ და სახელდებით გათვალისწინებული.

ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ, კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, განმარტა საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისა და მოლაპარაკების წარმოების კონსტიტუციური შინაარსი, მათი ძირითადი მახასიათებლები და კრიტერიუმები, ასევე ხაზი გაუსვა ამ სფეროში საქართველოს მთავრობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას და დაადასტურა, რომ არსებული კონსტიტუციური წესრიგის პირობებში, საქართველოს პრეზიდენტის ნებისმიერი საგარეოპოლიტიკური აქტივობა წინდაწინვე სავალდებულო წესით ექვემდებარებოდა საქართველოს მთავრობის მხრიდან თანხმობის არსებობას; რომ პრეზიდენტს უფლება არ აქვს საგარეო პოლიტიკის განხორციელების სფეროში მთავრობის ექსკლუზიურ კომპეტენციაში შეიჭრეს და დამოუკიდებელი, პარალელური საგარეო პოლიტიკა განახორციელოს. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ „მთავრობისგან თანხმობის მიღება“ გულისხმობდა მთავრობასთან სტრატეგიულ და ტაქტიკურ საკითხებში შეთანხმებული მოქმედების ვალდებულებას პრეზიდენტისათვის.

საკონსტიტუციო სასამართლომ დააზუსტა, რომ კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ნაგულისხმები არ იყო და ვერც იქნებოდა მთავრობის მხრიდან პრეზიდენტისათვის თანხმობის მიცემა შემთხვევებში, როდესაც პრეზიდენტის შესაბამისი აქტივობა არ შეესაბამებოდა საგარეო პოლიტიკის სფეროში მთავრობის მიერ განსაზღვრულ ძირითად მიმართულებებს, რის გამოც, საფუძველი არ გააჩნდა მტკიცებას, რომ თითქოს პრეზიდენტს მთავრობის თანხმობა არ ესაჭიროებოდა, როდესაც მისი ქმედება ამ მიმართულებებს შეესაბამებოდა და მთავრობის პოლიტიკას აცდენილი არ იყო.

საკონსტიტუციო სასამართლომ უშუალოდ კონსტიტუციურ წარდგინებაში იმპიჩირებად ქმედებად მიჩნეულ, პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ სამ სამუშაო ვიზიტთან დაკავშირებით, დადასტურებულად მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, პრეზიდენტის რანგში, განახორციელა საგარეო ურთიერთობებში სახელმწიფოს წარმომადგენლობა და სამივე შემთხვევაში აწარმოა მოლაპარაკებები უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტებთან საგარეო პოლიტიკურ საკითხზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ქმედების კონსტიტუციურობის შეფასებაზე გავლენას ვერ მოახდენდა საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით გათვალისწინებული დანაწესი, რამდენადაც იგი კონსტიტუციურ ორგანოებს „საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში“ ავალდებულებდა ყველა შესაძლებელი ზომის მიღებას საქართველოს ევროინტეგრაციის მიზნებისათვის, რაც იმას გულისხმობდა, რომ ეს მუხლი საქართველოს პრეზიდენტსაც მხოლოდ „საკუთარი უფლებამოსილების“ ფარგლებში მოქმედების მანდატს ანიჭებდა და შესაბამისად, ამ მიმართულებით ნებისმიერი საქმიანობაზე, სადაც საქართველოს პრეზიდენტი

ახორციელებდა საგარეო ურთიერთობათა სფეროში საქართველოს წარმომადგენლობას, ვრცელდებოდა კონსტიტუციის 52-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნა მთავრობისგან თანხმობის მიღების თაობაზე.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ კონსტიტუცის ერთი ნორმით დაწესებული დანაწესის დარღვევა ვერ გამართლდებოდა კონსტიტუციის მეორე ნორმის დაცვის საბაბით, მათ შორის, კეთილი განზრახვის მოტივაციის მოშველიებით. თავისთავად ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზნს ისახავდა, ვერ გააუქმებდა კონსტიტუციის 52-ე მუხლის დარღვევის ფაქტს, ვერ გაანეიტრალებდა მას ან/და და ვერ შესძენდა იმდენად უმნიშვნელო ხასიათს, რომელიც იმპიჩმენტურ ბრალდებას სამართლებრივ საფუძველს გამოაცლიდა. საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ საპრეზიდენტის ფიციც, რომელიც ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა დადო, ავალდებულებდა მას საქართველოს კონსტიტუციის დაცვას. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ პრეზიდენტს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას მთავრობის თანხმობის საჭიროება, რაც არაერთი გარემოებით მტკიცდებოდა და, ამასთანავე, ემყარებოდა გონივრულ პრეზუმფციას, რომ იგი გარკვეული იყო/უნდა ყოფილიყო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა და პასუხი გასცა სხვა არაერთ სამარლებრივ საკითხს, რაც კონსტიტუციური წარდგინების ზეპირი მოსმენის დროს იქნა პროცესის მონაწილეების მხრიდან დაყენებული.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა დასკვნით დაადასტურა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა 2023 წლის 31 აგვისტოს, პირველ და 6 სექტემბერს, საზღვარგარეთ სამუშაო ვიზიტების დროს საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განახორციელა საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, რითაც დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დანაწესი. სასამართლო ასკვნის, რომ აღნიშნული წარმოადგენს „კონსტიტუციის დარღვევას“ საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის მიზნებისათვის.

განხილვის საგანი: საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაძლო დარღვევა საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების გამო, რაც გამოიხატა საზღვარგარეთ სამუშაო ვიზიტების განხორციელებით და ოფიციალურ პირებთან სამუშაო შეხვედრებისა და მოლაპარაკებების გამართვით”, – აღნიშნულია საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნაში.შეგახსენებთ, რომ დღეს, 16 ოქტომბერს, საკონსტიტუციო სასამართლომ სალომე ზურაბიშვილის მიერ კონსტიტუციის დარღვევა დაადგინა. 9 მოსამართლიდან გადაწყვეტილებაზე განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ – ირინე იმერლიშვილს, გიორგი კვერენჩხილაძესა და თეიმურაზ ტულუშს. დასკვნა საბოლოოა და გასაჩივრებას, ან გადასინჯვას არ ექვემდებარება“.

წინდები დემენციით დაავადებულთათვის

მკვლევარებმა, დიდი ბრიტანეთიდან, „ჭკვიანი“ წინდები შექმნეს დემენციით დაავადებული ადამიანებისთვის. ისინი აანალიზებენ მფლობელის მდგომარეობას და რეალურ დროში გადასცემენ ინფორმაციას ავადმყოფის ახლობლებსა და მეურვეებს. ექიმები აღნიშნავენ, რომ ამ დაავადების მქონე ადამიანები ხშირად შფოთავენ და აგრესიულები ხდებიან, ამიტომ რთულია მათი ფსიქოლოგიური კომფორტის ობიექტურად შეფასება. სწორედ ამ ამოცანის შესამსუბუქებლად შექმნეს სპეციალისტებმა მათი ჯანმრთელობის მონიტორინგის უწყვეტი სისტემა. წინდები აფიქსირებს პულსის სიხშირეს, ოფლის გამოყოფის დონეს, მოძრაობის აქტიურობას. აღსანიშნავია, რომ სისტემა ჩამონტაჟებულია ჩვეულებრივ წინდებში, რადგან ის არ უქმნის დისკომფორტსა და დამატებით სტრესს პაციენტს, რაც სპეციალური სამაჯურის ტარებისას, ხშირია ხოლმე.

Duty Free-ს დამფუძნებელი მილიარდერი გარდაიცვალა

აშშ-ში, 93 წლის ასაკში გარდაიცვალა ამერიკელი ბიზნესმენი და Duty Free Shoppers-ის მაღაზიების დამფუძნებელი, ჩაკ ფინი. ის იმითაც იყო სახელგანთქმული, რომ ქველმოქმედებისთვის რვა მილიარდი დოლარი გაიღო, თავისთვის კი პენსიად მხოლოდ ორი მილიონი დაიტოვა. ფინის მეუღლე, ხუთი შვილი და 16 შვილიშვილი დარჩა. უმდიდრესი ამერიკელების „ფორბსის“ სიაში, ბიზნესმენი ჯერ კიდევ 1988 წელს მოხვდა. მაშინ მისი ქონება 1.3 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული, თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ მისი კაპიტალი გაცილებით მეტი იყო: ფინს ქონების ნაწილი საიდუმლოდ ჰქონდა გადაცემული საქველმოქმედო ფონდისთვის. ამ ფონდიდან თანხა ირიცხებოდა ჯანდაცვისთვის და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, შიდსის წინააღმდეგ საბრძოლველად, სამეცნიერი კვლევებისა და ადამიანის უფლებების დამცველი საქმიანობისთვის.

თევზის ნაცვლად კოკაინი „დაიჭირა“

აშშ-ში, ფლორიდის შტატის ქალაქ ტამპას მერი, ჯეინ კასტორი ოჯახთან ერთად სათევზაოდ გაეშურა და 30 კილოგრამზე მეტი ნარკოტიკული ნივთიერება „დაიჭირა“. ლობსტერების მოსაძიებლად ატლანტის ოკეანეში გასულმა კასტორმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში პოლიციაში მუშაობდა, მალევე იეჭვა, რა ამოიღო წყლიდან. ცელოფანში გახვეული ბრიკეტები, რომელსაც ეტიკეტზე პეპლები ეხატა, ქალაქის მერმა სანაპირო დაცვას გადასცა. როგორც აღმოჩნდა, ამ „დამსვენებელ მენავესთან“ დაკავშირებული შემთხვევა ზაფხულში დაფიქსირდა, მის შესახებ კი ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი.

ჯოლი კინოში კალასის როლით ბრუნდება

პოპულარული ჰოლივუდელი მსახიობი და რეჟისორი ანჯელინა ჯოლი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არ გამოჩენილა გადასაღებ მოედანზე, შემოქმედებით ცხოვრებას უბრუნდება. ის მონაწილეობას მიიღებს ფილმში, რომელიც ლეგენდარულ ბერძენ საოპერო მომღერალს, მარია კალასს ეძღვნება. ფილმის რეჟისორი პაბლო ლარაინი იქნება. სურათი, სახელწოდებით – „მარია“, გადაღებისთვის მოსამზადებელ სტადიაზეა. ფილმისთვის სცენარი სტივენ ნაითმა დაწერა. ბერძენი დივას როლს, რასაკვირველია, ანჯელინა შეასრულებს. რეჟისორმა უკვე გამოაქვეყნა მსახიობის პირველი ორი ფოტო კალასის როლში.

საკანალიზაციო ჭების სახურავებს გაყიდიან

იაპონიაში, ქალაქ კიოტოს ხელისუფლება, საკანალიზაციო ჭების ჩამოწერილ თავსახურავებს კოლექციონერებს მიჰყიდის. სახურავები 1978-90-იან წლებშია დამზადებული. მათი შეძენა სულ რაღაც 3000 იენად (20 დოლარი) იქნება შესაძლებელი. ამასთან, ჭების ეს თავსახურავები ხელოვნების ღირებულ ნიმუშებად და რეგიონული სიამაყის სიმბოლოებადაა აღიარებული. მათზე გამოსახულია ადგილობრივი ღირსშესანიშნაობები, ცნობილი ადამიანები და პოკემონებიც კი. საკანალიზაციო ჭების სახურავების გამოსახულებებს, იაპონიის სხვადასხვა ქალაქებიდან, ხშირად შეხვდებით სუვენირებზე. გარდა ამისა, ქვეყანაში, ყოველწლიურად ტარდება ამ თავსახურავების მოყვარულთა შეხვედრებიც.

მავნე საკვებზე დამოკიდებულება შეისწავლეს

მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა მსოფლიოს 36 ქვეყნის მონაცემები გააანალიზა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დედამიწის მოსახლეობიდან, ზრდასრული ადამიანების 14% და ბავშვების 12% დამოკიდებულია ულტრაგადამუშავებულ საკვებზე. ასეთ პროდუქტს აწარმოებენ მრავალრიცხოვანი ემულგატორების, სახამებლისა და ხელოვნური არომატიზატორების დამატებით. ასეთ პროდუქტს მიეკუთვნება გაზიანი სასმელები, მშრალი საკვები, შოკოლადი, ნაყინი, ჩიფსები და სხვა ფასტფუდი. ექსპერტების თქმით, ასეთი საკვები მიჩვევას იწვევს, რადგან მის შემადგენლობაში დიდი რაოდენობით ცხიმები და ნახშირწყლებია. მათი მოხმარება იწვევს დოფამინის გამომუშავებას ისევე, როგორც ნიკოტინისა და ალკოჰოლის მიღების შემთხვევაში. ადამიანები მას სულ უფრო მეტი რაოდენობით მოიხმარენ, ჯანმრთელობაზე ამ პროდუქტების ნეგატიური ზეგავლენის მიუხედავად.

ტვინის გამაახალგაზრდავებელი პრეპარატი შექმნეს

ამერიკელმა სწავლულებმა, კალიფორნიის უნივერსიტეტიდან, აღმოაჩინეს, რომ ექსპერიმენტულ პრეპარატ ISRIB-ის სულ რამდენიმე დოზა მღრღნელებში გონებრივი უნარებისა და ასაკობრივი მეხსიერების გაუარესებას „უკან აბრუნებს“. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ კვლევებისას პრეპარატმა შეძლო ქალა-ტვინის ტრავმიდან რამდენიმე თვეში მეხსიერების ფუნქციის აღდგენა, დაუნის სინდრომის დროს კოგნიტური დარღვევების აღმოფხვრა, ხმაურის გამო სმენის დაკარგვის აღკვეთა. ასევე, პრეპარატს აქვს უნარი, შეებრძოლოს პროსტატის კიბოს რამდენიმე სახეობას და გააუმჯობესოს კოგნიტური ფუნქციები ჯანმრთელ თაგვებში. კვლევების მონაცემები აჩვენებს, რომ დაბერებული ტვინი სამუდამოდ არ კარგავს ძირითად კოგნიტურ უნარებს, – აცხადებენ სწავლულები.

ბრინჯის ქისა ახალშობილის ნაცვლად

ამომავალი მზის ქვეყანაში, ახალშობილების მშობლები ახლობლებს ბრინჯით გატენილ ქისებს უგზავნიან – ამგვარად, მათ ეძლევათ საშუალება, ოჯახის ახალი წევრი „გაიცნონ“, „ხელში აიყვანონ“ და „ჩაეხუტონ“. ეს ტრადიცია სულ ახალია და ის კოვიდ-პანდემიის დროს გაჩნდა. ქისის წინა მხარეზე ჩვილის ფოტოს ამაგრებენ, მისი წონა კი დაბადებისას ბავშვის წონის შესაბამისია. იდეის ავტორი ქალაქ კიტაკიუსიუს ბრინჯის მაღაზიის მფლობელი, ნარუო ონოა. ბავშვების ტომსიკებით ჩანაცვლება მან ჯერ კიდევ 14 წლის წინ მოიფიქრა, როცა შვილი გაუჩნდა და შორს მყოფი ახლობლებისთვის მისი ჩვენება სურდა. კლიენტების დაინტერესების შემდეგ, ონომ ბრინჯის ქისების მასობრივად დამზადება დაიწყო. ასეთივე ტომსიკების შეკვეთა მსურველებს ქორწილისთვისაც შეუძლიათ – სიძე-პატარძალი მშობლებს ბრინჯით სავსე ქისებს უგზავნიან, საკუთარი ბავშვობის ფოტოებით და მადლობას უხდიან მათ.

დიაბეტი დავიწყებას მიეცემა

ჰარვარდის უნივერსიტეტის სწავლულების ახალი ნამუშევრის წყალობით, უახლოეს პერიოდში, ადამიანებს აღარ ემახსოვრებათ, რა არის დიაბეტი. მეცნიერებმა შეძლეს, გამოეყვანათ და გადანერგეს კუჭქვეშა კირკვლის უჯრედები, რომლებიც ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირებენ. ეს უჯრედები გამოიმუშავებენ ინსულინს და მათი საფუძველი ემბრიონული ღეროვანი უჯრედები გახდა. თუ მათი უსაფრთხოება დამტკიცდება, მაშინ ტრანსპლანტაცია პაციენტებს პირველი ტიპის დიაბეტით ინსულინის ინექციებს ააშორებს. დღესდღეობით, მკვლევარებს კლინიკური ცდები არ დაუწყიათ, ამიტომ ტესტირება ჯერ ისევ ცხოველებზე მიმდინარეობს. სწავლულები აცხადებენ, რომ უჯრედები ინსულინს რამდენიმე თვის განმავლობაში გამოიმუშავებენ.

მარმელადი კიტრის მწნილისგან

აშშ-ში, ქალაქ ნეშვილში მდებარე საკონდიტრო – East Tasty Candy Company-მ, ცოტა ხნის წინ, საღეჭი კანფეტების საცდელი პარტია გამოუშვა, რომელსაც კიტრის მწნილის წვენის გემო აქვს. მისი ავტორია მთავარი კონდიტერი, ჟორდან ტეპერი, რომელიც მუდმივად ახალი გემოების ძიებაშია, ერთმანეთს უხამებს სხვადასხვა პროდუქტებს და ქმნის კანფეტებს განსაკუთრებული გემოებით. ახალი პროდუქტი – კიტრის მწნილის მარმელადი, წარმატებული აღმოჩნდება, რადგან ტეპერმა უკვე მიიღო უამრავი პოზიტიური გამოხმაურება დამარინადებული კიტრის მოყვარულებისგან.

გვიანი მშობიარობა სიმსივნისგან იცავს?

მანდილოსნები, რომელთაც შვილის ყოლა გვიან გადაწყვიტეს და ბავშვი 33-37 წლის ასაკში, ბუნებრივი გზით გააჩინეს, ორჯერ ზრდიან ალბათობას, დიდხანს იცოცხლონ. ასეთი ინფორმაცია, ცოტა ხნის წინ, ამერიკელმა სწავლულებმა გაავრცელეს. იმის მიუხედავად, რომ გვიან ასაკში დედობას, შესაძლოა, გარკვეული ნეგატიური შედეგები მოჰყვეს, ბევრი პოზიტივიც ახლავს თან. ამის დამტკიცება ამერიკელმა სპეციალისტებმა გადაწყვიტეს და სპეციალური გამოკვლევაც ჩაატარეს. მასში აშშ-სა და დანიის მცხოვრები 5 ათასი მანდილოსანი მონაწილეობდა. კვლევის პროცესში გაირკვა, რომ იმ ქალბატონებს, რომელთაც 33-37 წლის ასაკში გააჩინეს შვილები, ორჯერ მეტი შანსი ჰქონდათ, უფრო დღეგრძელები ყოფილიყვნენ. დღესდღეობით, მეცნიერები ვერ აანალიზებენ ამ კანონზომიერებას. მათი მოსაზრებით, იმ ქალებს, რომელთაც გვიან ასაკში გადაწყვიტეს და შეძლეს შვილის ყოლა, უფრო კარგი ჯანმრთელობა აქვთ, ვიდრე სხვა მათ თანატოლებს, ვინც დაფეხმძიმება ვერ მოახერხა. სამხრეთ კალიფორნიელი სწავლულები კი აცხადებენ, რომ მანდილოსნებს, რომლებიც 30 წლის მერე გახდნენ დედები, შვილის გაჩენა მათ ონკოლოგიური დაავადებებისგან იცავს. გვიანი მშობიარობის წყალობით, თავიდან აირიდეს ესტროგენზე დამოკიდებული კიბოს განვითარება, ასევე, თავს იცავენ უფრო იშვიათი და უფრო აგრესიული ონკოლოგიური დაავადებებისგან, რომელიც არ არის დამოკიდებული ჰორმონებზე.

პლასტმასის ალტერნატივა თევზის ნარჩენებისგან

23 წლის ბრიტანელმა ლუსი ჰიუზმა, თევზის ნარჩენებისგან ცელოფნის ალტერნატივა შექმნა – მან თევზის ქერცლი, კანი და წითელი წყალმცენარეები გამოიყენა, რისგანაც ბიოხრწნადი პლასტმასი მიიღო. ის ისეთივე მტკიცე და მოქნილია, როგორც ცელოფანი. „რა საჭიროა, ასობით ხელოვნური პოლიმერი, როცა ბუნებაში, ყველაფერი ეს, უკვე არსებობს“, – აცხადებს გამომგონებელი. ლუსიმ საკუთარ ქმნილებას MarinaTex უწოდა. მისი მთავარი უპირატესობა ისაა, რომ პლასტმასის სხვადასხვა სახეობისგან განსხვავებით, ჩვეულებრ ტემპერატურაზე, სულ რაღაც, ოთხ-ექვს კვირაში იხრწნება. ასე რომ, მისი უტილიზაცია შესაძლებელია კომპოსტში, სახლის პირობებშიც კი. ასეთი ბიოპლასტიკის შექმნის იდეა ჰიუზს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც თევზის ქარხანაში უამრავი გადაყრილი ნარჩენი ნახა. სამეცნიერო ექსპერიმენტებს ლუსი სამზარეულოში ატარებდა. მისი თქმით, ერთი, საშუალო ზომის თევზისგან 1400 პაკეტის დამზადება შეიძლება.

ყურიდან წყლის გადმოფერთხვა საშიშია

სწავლულები ამტკიცებენ, რომ დაჩქარების ძალებმა, რაც ყურიდან წყლის გადმოფერთხვას უკავშირდება, შესაძლოა, ბავშვის ტვინი დააზიანოს. როცა ბანაობისას, ან შხაპის დროს, ყურში წყალი ჩადის, ყველა მაშინვე ცდილობს მის გადმოფერთხვას, ზოგჯერ, ცალ ფეხზე ხტუნვითაც კი. თითქოსდა, ეს ჩვეულებრივი რიტუალია, მაგრამ კორნელის უნივერსიტეტის მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ეს ჩვენს ჯანმრთელობას სერიოზული რისკის ქვეშ აყენებს, განსაკუთრებით კი ბავშვების. ექსპერიმენტებისას, მათ გაარკვიეს, რომ კრიტიკული დაჩქარება, რომელიც თავის ქნევის დროს იქმნება, დაახლოებით ათჯერ აღემატება სიმძიმის ძალას პატარა ბავშვის ყურის ზომასთან მიმართებაში, ამან კი შესაძლოა, ტვინის დაზიანება გამოიწვიოს.

ფერმერები მოცურავე კუნძულებს აშენებენ

მექსიკაში, ბოსტნეულის მოსაყვანად უჩვეულო მეთოდს იყენებენ. ფერმერები, ამა თუ იმ მცენარეს თევზების დახმარებით ზრდიან. ისინი წყლიან სივრცეში თევზებს ათავსებენ, ზემოდან კი ბოსტნეულს რგავენ ისე, რომ მცენარის ფესვები წყალში მოხვდეს. საჭირო საკვებ ნივთიერებებს მცენარეები წყლიდან, თევზების ნარჩენებისგან იღებენ. შორეულ წარსულში, სწორედ ამ მეთოდს იყენებდნენ მაიასა და აცტეკების ტომები მეურნეობის განსავითარებლად. მათ სისტემას „ჩინამპები“ ერქვა, რაც „მოცურავე კუნძულს“ ნიშნავს. თანამედროვე ეპოქაში, მექსიკელმა ფერმერებმა ეს მეთოდი კიდევ უფრო დახვეწეს და მას აკვაფონიკას უწოდებენ. ამ მეთოდის დროს, მოსავლის მოსაყვანად, პესტიციდების გამოყენება საჭირო აღარაა და წყალიც იზოგება. ეს მეთოდი საშუალებას გაძლევთ, ბოსტნეული და თევზი ერთდროულად აწარმოოთ.

ცაციობა დაბადების დროს უკავშირდება

როგორც სწავლულებმა კვლევებით დაადგინეს, ზამთარში დაბადებული ბიჭები უფრო ხშირად არიან ცაციები, ვიდრე ისინი, რომლებიც ზაფხულში მოევლინნენ ქვეყანას. ვენის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა უფროსი ასაკის 13 ათასი ადამიანი გამოიკვლიეს. მათგან ქალების – 7.5% და მამაკაცების – 8.8% ცაცია აღმოჩნდა, თანაც ისიც დადგინდა, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლებში, ნოემბრიდან იანვრის ჩათვლით დაბადებული ცაცია უფრო მეტი იყო, ვიდრე თებერვალ-ოქტომბერში (10.5% და 8.2%). მკვლევარები ამბობენ, რომ სეზონურობა უკავშირდება ჰორმონების დონეს, რაც განსაზღვრავს ცაციობის ალბათობას. მიიჩნევა, რომ ტესტოსტერონის მაღალი დონე ჩანასახის განვითარების დროს, ადამიანს ცაციად აქცევს. რაც გრძელია დღე, მით მაღალია ტესტოსტერონი, რაკიღა ზამთარში დაბადებულებისთვის მთელი ზაფხული მუცლადყოფნის პერიოდია, ისინი უფრო მეტ ჰორმონს იღებენ. ეს ეფექტი მუშაობს მამაკაცების შემთხვევაში, სუსტ სქესთან დაკავშირებით კი, მსგავსი არ გამოვლენილა.

ბლოგერმა ვირტუალური სიყვარული გაყიდა

TikTok-ის პოლონელი ბლოგერი, მარტა რენტელი მსოფლიოში პირველი ადამიანი გახდა, რომელმაც საკუთარი „ვირტუალური სიყვარული“ გაყიდა. „ფიზიკური, პლატონური და ციფრული სიყვარული განსხვავდება ერთმანეთისგან, ოღონდ თითოეული მათგანი რეალურია ისევე, როგორც ჩვენი ფიქრები და გრძნობები... ციფრული – ნიშნავს სამუდამოს“, – დაწერა ბლოგერმა საკუთარ გვერდზე. მარტას „სიყვარული“ ანონიმმა მყიდველმა, 250 ათას დოლარად შეიძინა და ახლა მას ეკუთვნის ყველა უფლება სოციალური ქსელის 21 წლის ვარსკვლავის „ციფრულ გრძნობაზე“. აღსანიშნავია, რომ გოგონას სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ ონლაინ იქნება წარმოდგენილი და მყიდველი ვერანაირ ფიზიკურ სიახლოვეს ვერ მიიღებს.

ხილის ხშირი მიღება კიბოს აგვარიდებს

სწავლულებმა დიდი ბრიტანეთიდან, რომელთაც ერთდროულად, რამდენიმე გამოკვლევა ჩაატარეს, დასკვნები დადეს, რომლის მიხედვითაც ხილის ხშირი მიღება ძალიან სასარგებლოა ორგანიზმისთვის. მკვლევარების განცხადებით, თუ ყოველდღიურად, ადამიანი შვიდი სხვადასხვა სახეობის ხილს მიირთმევს, ეს საგრძნობლად ამცირებს ონკოლოგიური და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკს. ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევები, დაახლოებით, 12 წელიწადს გრძელდებოდა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, დეტალურად იქნა შესწავლილი კვლევაში მონაწილე ადამიანების საკვების მოხმარების ჩვევები, რომლებიც იმ მომენტისთვის შესანიშნავ ფიზიკურ მდგომარეობაში იყვნენ. სწავლულების თქმით, 30-დან 65 წლის ასაკში, ყოველდღიურად ხილის მცირე რაოდენობის მიღებაც კი არსებითად ამაღლებს ცხოვრების დონეს. მათი განცხადებით, მოწიფულ ასაკში მყოფებმა თავი უფრო უკეთესად რომ იგრძნონ, საკმარისია, ყოველდღიურ რაციონში გემრიელი ხილი, მაგალითად, ბანანი და ვაშლი დაამატონ, რომლებიც რკინას, თუთიასა და სპილენძს შეიცავს. სწორედ ეს კომპონენტები აისახება სასიკეთოდ გულისა და სხვა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოებზე.

მეუღლეებს ერთად ძილს არ ურჩევენ

როგორ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, სწავლულები მამაკაცებს მეუღლესთან ერთად ძილს არ ურჩევენ. მკვლევარებმა „მწვანე კონტინენტიდან“, დაადგინეს, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენელი სრულყოფილად ვერ დაისვენებს, თუკი ის ვინმესთან ერთად გაიყოფს სარეცელს. არასრულფასოვანი ძილი კი მეორე დღეს უარყოფითად აისახება, როგორც მის სამუშაო პროცესზე, ასევე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც. სწავლულები გვარწმუნებენ, რომ პარტნიორთან ერთად წოლა და ძილი მამაკაცებში სტრესის ჰორმონის გამომუშავებას აძლიერებს, რის გამოც ის უფრო ადვილად ღიზიანდება. მიუხედავად ამისა, სოციოლოგიური კვლევები ამტკიცებენ, რომ მამაკაცებს მარტო წოლას, მაინც საყვარელ ქალთან ერთად ყოფნა ურჩევიათ. არადა, კვლევებით ისიც დამტკიცებულია, რომ ამ პერიოდში, მათი გონებრივი აქტიურობა მხოლოდ იკლებს.

საუკეთესო ქვეყანა მსოფლიო კრიზისის გადასატანად

ბრიტანელი სწავლულების კვლევების მიხედვით, ახალი ზელანდია, დიდი ბრიტანეთი, კუნძული ტასმანია და ირლანდია, ყველაზე უფრო შესაფერისი ტერიტორიებია გლობალური კოლაფსის გადასატანად. მკვლევარებმა განიხილეს დამანგრეველი კლიმატური და ფინანსური კრიზისების ალბათობა, კატაკლიზმებისა და პანდემიების სერიები. იმის გასარკვევად, თუ რომელი ქვეყნები შეძლებდნენ გლობალურ კრიზისთან გამკლავებას, სწავლულებმა შეაფასეს დამოუკიდებლად პროდუქტების მოყვანის შესაძლებლობა, საზღვრების დაცვა მასობრივი მიგრაციისგან, ელექტროენერგიის უწყვეტობა და წარმოების სიძლიერე. შედეგად, გამოავლინეს კუნძულოვანი ქვეყნები ზომიერი კლიმატით და მოსახლეობის ნაკლები სიმჭიდროვით. გადარჩენისთვის ყველაზე სასურველ ზონად მკვლევარებს ახალი ზელანდია მიაჩნიათ, მისი გეოთერმული და ჰიდროელექტროენერგიის, სასოფლო-სამეურნეო მიწების სიუხვით, გეოგრაფიული მდებარეობითა და მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვით.

პროდუქტები, რომლებიც ნერვებს დაგიწყნარებთ

ნერვული სისტემის პრობლემები მთელ ორგანიზმს ვნებს. ყველასთვის ცნობილია გამოთქმა – „ყველა დაავადება ნერვების ბრალია“. ნერვული აშლილობები, დეპრესიები, ნევროზები მთლიან ორგანიზმს ასუსტებენ, რაც მთელ რიგ დაავადებებს „უხსნიან კარს“. მედიკოსებმა ნერვების განსამტკიცებელი ხუთი ძირითადი პროდუქტი დაასახელეს:

1. პროდუქტები, რომლებიც ნერვებისთვის შეუცვლელ ვიტამინ „ბე-1“-ს შეიცავენ – წიწიბურასა და შვრიის ფაფები, ღორის ხორცი, ქვავის პური.

2. ხშირად, ნერვულ სისტემას გადავტვირთავთ, ხოლმე გონებრივი სამუშაოთი, რომლის დროსაც, აუცილებელია ვიტამინი „ბე-2“. ამ დროს, დახმარების ხელს „გამოგვიწვდიან“ პარკოსნები, ისპანახი, ლუდის საფუარი, გარგარი, კვერცხი. ამ პროდუქტების გარეშე, უარესდება განწყობა, იწყება თავის ტკივილი, სისუსტე.

3. თანამედროვე ცხოვრება სტრესის წყაროა. ემოციური დატვირთვებისას ირღვევა ტვინის ინტელექტუალური მუშაობა, ზიანდება მეხსიერება, თავს იჩენს ხასიათის მკვეთრი ცვლილებები. ამის თავიდან ასაცილებლად, მიიღეთ ვიტამინ „ბე-12“-ით გაჯერებული პროდუქტები: ზღვის პროდქტები, გულ-ღვიძლი, კვერცხის ცილა. თუ თავს იზღუდავთ მათი მირთმევით, საკუთარ თავს ალცჰაიმერის სინდრომით დაავადების რისკს უზრდით.

4. რძე და რძის პროდუქტები (მათ შორის, რძემჟავა პროდუქტებიც). კალციუმის გარეშე, ნერვები მაგარი ვერ გექნებათ. ამ მინერალის უკმარისობა იწვევს მუდმივ შფოთიანობასა და გაღიზიანებას.

5. ტვინის მუშაობისა და ჰორმონალური ბალანსისთვის აუცილებელია იოდი. ყველა ზღვის პროდუქტი, ზღვის კომბოსტო და ზღვის ნებისმიერი თევზი იოდის წყაროა. თუ არ გიყვართ, მაგალითად, ზღვის კომბოსტო, პრობლემა არ არის, იყიდეთ ის გამომშრალი, დაფქვით და საჭმელში საკმაზივით დაამატეთ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.